

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი

ბადრი შარია

**უმუშევრობასა და მოხმარებაზე უმუშევრობის შემწეობის
ზემოქმედების ეკონომეტრიკული ანალიზი**

ეკონომეტრიკის კათედრა

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია ეკონომიკის
მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი აკაკი
არსენაშვილი

თბილისი

2019

ანოტაცია

ნაშრომი ეხება უმუშევართა შემწეობების პროგრამას. აღნიშნული პროგრამა განიხილება როგორც უმუშევრობასთან ბრძოლის ერთ-ერთ საშუალება და უზრუნველყოფს ცხოვრების დონის შენარჩუნებას.

პირველ თავში განხილულია უმუშევრობის არსი და მის მიერ გამოწვეული სოციალურ - ეკონომიკური შედეგები, რათა სრულყოფილად დავინახოთ თუ რამდენად პრობლემურია უმუშევრობა. მეორე თავში განიხილება ეკონომისტების მოსაზრებები უმუშევართა შემწეობების შესახებ. განხილულია მისი თეორიული მნიშვნელობა, მისი მიზნები და ფუნქციური დატვირთვა.

მესამე თავში განიხილება 12 ქვეყანაში არსებული უმუშევართა შემწეობების პროგრამის საერთაშორისო პრაქტიკა, რომელთა სიაში შედის როგორც განვითარებული, ასევე განვითარებადი ქვეყნები. განიხილება ყოველი სისტემის მახასიათებლები, კერძოდ: მოთხოვნები, რომლებიც მიმართულია უმუშევრების მიმართ და მიზნად ისახავს შემწეობის მიღებას, შემწეობის გაცემის პერიოდი, შემწეობის ოდენობა და ა.შ.

ნაშრომის მეოთხე თავში, რუსეთის მაგალითზე, განვიხილავთ უმუშევრობის და მოხმარების დამოკიდებულებას უმუშევართა შემწეობის მიმართ. ამისათვის გამოვიყენებთ უმცირეს კვადრატთა მეთოდით აგებულ წრფივ მოდელებს, სადაც შედეგობრივ ცვლადად გვექნება უმუშევრობის დონე და მოხმარებაზე გაწეული ხარჯები, ხოლო ერთ-ერთ ეგზოგენურ ცვლადად განიხილება უმუშევართა შემწეობა. ასევე განვიხილავთ ADL და ECM მოდელებით მიღებულ შედეგებსაც, რომლის საშუალებით გამოვყოფთ ცვლადად შორის მოკლე და გრძელვადიან კავშირებს.

Annotation

The paper is about support of unemployment program. The mentioned program is said to be as one of the basic option to defeat unemployment and make balanced standard of living.

In first chapter is discussed unemployment and social economical outcomes caused by it. In order to see how problematic is unemployment in the country. In second chapter there is discussion about ideas on unemployment supports by economists. Also discussed there theoretical meaning their aims and functional content.

In the third chapter there is discussion about support of unemployment program practice in 12 countries. In which are included developed as well as developing countries, are discussed characteristics of system that are: Demands, Forgetting support of unemployment, Deadlines of support, quantity of grant e.t.c.

In the four chapter based on Russian example, we live discuss the attitude of unemployment and consumption towards unemployment benefit for build by OLS, where resulted variables are level of unemployment and costs spent on consumption and exogenous variable will be unemployment supports. Also we will discuss results made on ADL and ECM through which we will understand short and long term relations between variables.

სარჩევი

ანოტაცია	2
Annotation	3
შესავალი	6
თავი I. უმუშევრობა, როგორც ეკონომიკის მნიშვნელოვანი პრობლემა	8
1.1. უმუშევრობის სოციალურ-ეკონომიკური მნიშვნელობა.....	8
1.2. უმუშევრობის სახეები და მასთან ბრძოლის მეთოდები	11
თავი II. უმუშევართა შემწეობის არსი, მისი მიზნები და ფუნქციები.....	13
2.1. უმუშევართა შემწეობა- როგორც უმუშევრობასთან ბრძოლის ერთ-ერთი საშუალება.	13
2.2. უმუშევართა შემწეობების ამოცანები და ფუნქციები	15
თავი III უმუშევართა შემწეობების საერთაშორისო პრაქტიკა	17
3.1 უმუშევართა შემწეობების ზემოქმედება დასაქმების დონეზე	18
3.2. უმუშევართა შემწეობების ეფექტი მოხმარების დონეზე	21
3.3 უმუშევართა დაზღვევის ფონდების ინსტიტუციური სტრუქტურა.	23
3.4. შემწეობების მართვის სისტემა.....	23
3.5. გავრცელების დონე	24
3.5.1.პირობები, რომელნიც უფლებას აძლევენ შემწეობების მიღებას:	27
მუშაობის პერიოდი და შენატანების პერიოდულობა.	27
3.5.2. პირობები, რომელნიც უფლებას აძლევენ შემწეობების მიღებას: უმუშევრობის მიზეზები.	29
3.6 პირის შესაძლებლობა, შეინარჩუნოს შემწეობის მიღების უფლებამოსილება.....	31
3.7. უმუშევართა შემწეობების გაცემის პერიოდი.....	32
3.8. დასაქმება უმუშევრობათა შემწეობების მიღების დროს	34
3.9. შემოსავლის ჩანაცვლების განაკვეთი.....	35
3.10. უმუშევართა სადაზღვევო სისტემის რეგულირება, ფინანსირება და მდგრადობა.....	41
3.11. უმუშევრობა საქართველოში.....	43
თავი IV . ეკონომეტრიკული ანალიზი	47
4.1.1. უმუშევრობის მოდელი	47
4.1.2. მულტიკოლინიარობა.....	53
4.1.3. ჰეტეროსკედასტურობა.....	54
4.1.4. ავტოკორელაციის შემოწმება ბროიმ-გოდფრის ტესტით	55
4.2.1. მოხმარების დონე	57

4.2.2. მულტიკოლინიარობა.....	62
4.2.3. ჰეტეროსკედასტურობა:	63
4.2.4. ავტოკორელაციის შემოწმება ბროიშ-გოდფრის ტესტით	63
4.3. უმუშევრობის განაწილებულლაგიანი ავტორეგრესიული მოდელი (ADL).....	63
4.4. მოხმარების განაწილებულლაგიანი ავტორეგრესიული მოდელი (ADL).....	67
დასკვნა	71
გამოყენებული ლიტერატურა.....	73
დანართი.....	75

შესავალი

ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის შესაფასებლად ეკონომისტები სხვადასხვა სტატისტიკურ მონაცემს განიხილავენ. გარდა მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) დონისა, ერთ-ერთი სტატისტიკური მონაცემი, რაც ეკონომისტთა და, ასევე, საზოგადოების ყურადღებას იქცევს ქვეყანაში, უმუშევრობის მაჩვენებელია.

უმუშევრობა ეკონომიკის განვითარების ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს, რომელიც პირდაპირ ახდენს გავლენას მოსახლეობაზე. უმუშევრობის დონეზე დამოკიდებულია ისეთი ფაქტორები, როგორცაა კრიმინალის დონე, მოსახლეობის ცხოვრების დონე, ემიგრაციის დონე. უმუშევრობის მაღალმა მაჩვენებელმა შეიძლება მიგვიყვანოს დამანგრეველ შედეგამდე. აქედან გამომდინარე, სახელმწიფოს ძირითადი მიზანია უმუშევართა ოდენობის მინიმიზაცია, რომლის შედეგად შენარჩუნდება მოსახლეობის ცხოვრების დონე. სწორედ ამიტომ მიმართავენ ისეთ გზებს, როგორცაა: ახალი სამუშაო ადგილის შექმნა, რეფორმები განათლების სისტემაში, მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებისათვის საჭირო პირობების შექმნა. უმუშევრობის დაძლევის ერთ-ერთ საშუალებად განიხილება უმუშევართა შემწეობის პროგრამა, რომელსაც მრავალი ეკონომისტი უწოდებს უმუშევართა დაძლევის პასიურ მექანიზმს.

უმუშევართა შემწეობა სოციალური უზრუნველყოფის ერთ-ერთი პროგრამაა. აღნიშნული ასახავს ფულად საზღაურს, რომელიც გაიცემა კანონმდებლობით მიერ დადგენილ უმუშევარ პირზე. ეკონომისტებს აქვს განსხვავებული დამოკიდებულება უმუშევართა შემწეობის მიმართ და ნაწილი მიიჩნევს, რომ შემწეობა პირდაპირპროპოციულ დამოკიდებულებაშია უმუშევრობასთან. მათი თვალსაზრისით, როდესაც უმუშევარი იღებს გარკვეულ კომპენსაციას, ეს იწვევს მისი უმუშევრობის დონის გახანგრძლივება, რაც უარყოფითად ისახება ეკონომიკაზე.

ნაწილი კი მიიჩნევს, რომ უმუშევართა შემწეობა უნდა იძლეოდეს შემოსავლის ნაწილობრივ ჩანაცვლების გარანტიას იმისათვის, რომ უზრუნველყოს ბენეფიციარის ცხოვრების მისაღები დონე მანამ, სანამ პიროვნება არ მოიძიებს სამუშაო ადგილს.

მეორე მხრივ, შემწეობის პროგრამა უმუშევარს ეხმარება სამსახურის მოძიებაში და ხელს უწყობს მათ ცოდნის და შესაძლებლობების განვითარებაში.

ქვეყნების უმრავლესობა აღიარებენ იმ ფაქტს, რომ გარანტირებული შემოსავალი ხელს უწყობს მოხმარების გათანაბრებას მაშინ, როდესაც ეკონომიკური ზრდის ტემპების შენელების გამო მოთხოვნა საგარეო ბაზარზე მცირდება, ამიტომ ის ნორმები, რომლებსაც აწესებს შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია სოციალური უზრუნველყოფის სფეროებში, წარმოადგენს ორიენტირს იმ ქვეყნებისთვის, რომლებიც მოსახლეობას იცავენ უმუშევრობისაგან.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ჩემი ნაშრომის ძირითადი მიზანია ვაჩვენო, თუ რამდენად გავრცელებულია უმუშევართა შემწეობების პროგრამა როგორც განვითარებულ, ასევე განვითარებად ქვეყნებში, ასევე რა პირობებია და როგორ ზეგავლენას ახდენს პროგრამა უმუშევრობაზე და მოხმარების დონეზე ეკონომეტრიკული ანალიზის შედეგად.

თავი I. უმუშევრობა, როგორც ეკონომიკის მნიშვნელოვანი პრობლემა

1.1. უმუშევრობის სოციალურ-ეკონომიკური მნიშვნელობა

უმუშევრობა - მსოფლიო ეკონომიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემაა. აღნიშნულს შეგვიძლია ვუწოდოთ ქვეყნის ტვირთი, რომელიც იწვევს ეკონომიკურ და ფსიქოლოგიურ დანაკარგს. ყველა იმ მაკროეკონომიკურ პრობლემებს შორის, რომლის წინაშეც დგანან ქვეყნები, უმუშევრობა წარმოადგენს ყველაზე დიდ საშიშროებას, როგორც ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური წყობისათვის, ასევე კეთილდღეობისათვის.


პრაქტიკულად, უმუშევრობა გავლენას ახდენს საზოგადოების ყველა მხარეზე:

a. ეკონომიკაზე, რომელიც მცირდება არსებული რესურსების არაეფექტური გამოყენების გამო. უმუშევრები არ მონაწილეობენ ეროვნული პროდუქციისა და სიმდიდრის შექმნაში.

b. სოციალურ სფეროზე, რომელიც განიცდის მუდმივ დეგრადაციას კრიმინალისაგან, ლოთობისაგან, საზოგადოებრივი მორალის დაცემისაგან, ოჯახური პრობლემებისაგან, ფსიქიკური შეშლილობების ზრდისაგან და ა.შ. - წარმოადგენს მაღალი უმუშევრობის სატელიტს.


c. პოლიტიკაზე, რომელიც უმუშევრობის ზემოქმედების შედეგად გადადის ავტორიტარულ დონეზე, ასევე უპასუხისმგებლო პოპულიზმზე.

უმუშევრობას მოჰყვება სერიოზული ეკონომიკური და სოციალური პრობლემები.



- ✓ უმუშევარი ადამიანი გამოუყენებელი სამუშაო ძალაა. მისი გამოყენების შემთხვევაში შესაძლებელი იქნებოდა დამატებითი პროდუქციის წარმოება. შესაბამისად, ისინი ითვლიან ე.წ. გამოუყენებელი საწარმოო შესაძლებლობის ხარჯს, ანუ იმ პროდუქციას, რომლის წარმოებაც შესაძლებელი იქნებოდა უმუშევარი პირის დასაქმების შემთხვევაში. გამოუყენებელი საწარმო ფაქტორების შედეგად, ადგილი აქვს ეკონომიკური ზრდის ტემპის შემცირებას. აღნიშნულს ასახავს ოუკენის კანონი, რომელიც გვიჩვენებს კავშირს უმუშევრობასა და მშპ-ს შორის. ანუ როდესაც უმუშევრობის ფაქტიური დონე აღემატება ბუნებრივს (ფაქტიური > ბუნებრივი) 1 %-ით, ის იწვევს ფაქტიური მშპ-ს გადახრას პოტენციურიდან 2.5%-ით.
- ✓ ხელფასის დონის შემცირება, შრომის ბაზარზე წარმოქმნილი კონკურენციის გამო. მოცემულ შემთხვევაში ადგილი აქვს მოსახლეობის შემოსავლების შემცირებას, რომელიც აუცილებელია მათი არსებობისათვის. ამას მოჰყვება მოხმარების დონის და დანაზოგების შემცირება, რაც იწვევს ეკონომიკის ზრდის ტემპის დაცემას. შედეგად, ადგილი აქვს ცხოვრების დონის გაუარესებას, ვინაიდან სამსახური წარმოადგენს არსებობის ძირითად წყაროს.
- ✓ დანაკარგები, დაკავშირებული კვალიფიციურ კადრებთან, რომლებსაც არ აქვთ მუშაობის საშუალება.
- ✓ საგადასახადო წნეხის ზრდა, როგორც ფიზიკურ ასევე იურიდიულ პირებზე, რაც გამოწვეულია მშპ-ს დონის შემცირებით.

გარდა ეკონომიკური პრობლემებისა, უმუშევრობა იწვევს მნიშვნელოვან სოციალურ და ფსიქოლოგიურ შედეგებს, რაც იმაზე მეტი სერიოზულია, ვიდრე ეკონომიკური.



- პოლიტიკური მდგომარეობის დესტაბილიზაცია და დაძაბულობა სოციუმში. აღნიშნულმა შეიძლება გამოიწვიოს სოციალური კონფლიქტები ან სოციალური აფეთქება.
- კრიმინალის ზრდა, ვინაიდან ხშირ შემთხვევაში სწორედ რომ უმუშევრები ჩადიან სისხლისსამართლებრივ დანაშაულებს. ახალგაზრდები, რომელიც უმუშევართა სიაში შედიან, ცოდნისა და გამოცდილების უკმარისობის გამო, წარმოადგენენ კრიმინალის „კადრების“ ძირითად წყაროს.
- უმუშევრობით გამოწვეული სტრესი იწვევს თვითმკვლელობას და ასევე ფსიქიკური და გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადებების ზრდას.
- უმუშევრის პიროვნული დეფორმაცია, რომელიც გამოიხატება დეპრესიის ფორმით. უმუშევარი დროთა განმავლობაში კარგავს თავის საკვალიფიკაციო და პრაქტიკულ უნარებს, უარესდება ოჯახური ურთიერთობა და ადგილი აქვს გარე კავშირების შემცირებას. შედეგად, პიროვნებას ეკარგება რწმენა და პატივისცემა საკუთარი თავის მიმართ, რამაც შეიძლება მოახდინოს პიროვნების სრული დეგრადაცია.

უმუშევრობის ეკონომიკური და სოციალურ-ფსიქოლოგიური ეფექტები იმაზე მეტყველებს, რომ უმუშევრობა წარმოადგენს დიდ საფრთხეს როგორც პიროვნებისათვის, ასევე სოციუმისათვის. აქედან გამომდინარე, სახელმწიფოს მხრიდან წარმოიქმნება

ჩარევის საჭიროება. ინტერვენციის ერთ-ერთი ვარიანტია დასაქმების აქტიური პოლიტიკის წარმართვა, რომელიც მიმართული იქნება უმუშევრობით წარმოქმნილ ეფექტების ლიკვიდაციაზე.

1.2. უმუშევრობის სახეები და მასთან ბრძოლის მეთოდები

როგორც უკვე ვახსენეთ, უმუშევრობა წარმოადგენს მწვავე ეკონომიკურ პრობლემას არამხოლოდ იმ პირებისათვის, რომელნიც სამუშაო ადგილის გარეშე არიან, არამედ მთლიანად საზოგადოებისთვის. შესაბამისად, ქვეყნების მიერ უმუშევრობასთან ბრძოლა წარმოადგენს პირველად ამოცანას, რომლის ამოხსნის მეთოდიკაზე და შედეგზე დამოკიდებულია ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა და საზოგადოების კეთილდღეობა. პოლიტიკოსები, როგორც სოციოლოგები მიიჩნევენ, რომ უმჯობესია პრობლემებიდან გამომდინარე წარმოშობილ მიზეზებთან ბრძოლა, ვიდრე არსებული შედეგების გამოსწორება. იმ შემთხვევაში, თუ უმუშევრობასთან ბრძოლა აღმოჩნდება არაეფექტური, აღნიშნულმა შეიძლება წარმოქმნას დამატებით კრიზისული სიტუაციები. აღსანიშნავია, რომ არ არსებობს ერთიანი მეთოდიკა გამომდინარე იქედან, რომ ეკონომიკაში არსებობს სხვადასხვა ტიპის უმუშევრობა, სწორედ ამიტომ, აღნიშნული ვითარება ართულებს უმუშევრობასთან ბრძოლის მეთოდიკის შერჩევას.

ცხრილი 2.1 მოცემულია უმუშევრობის სხვადასხვა სახეობები და მათთან ბრძოლის განსხვავებული მეთოდები.

<i>უმუშევრობის სახეობა</i>	<i>ბრძოლის მეთოდი</i>	<i>დეტალურად</i>
ფრიქციული უმუშევრობა	<i>ინფორმაციული უზრუნველყოფის გაუმჯობესება</i>	შრომის ბაზარზე არსებული ვაკანტური ადგილების შესახებ ინფორმაციული უზრუნველყოფა, დამსაქმებლებისგან ვაკანტური ადგილების შესახებ ინფორმაციის მოპოვება.
	<i>სამუშაო ძალის მობილურობის გაზრდა</i>	მშენებლობის ბაზრის განვითარება, რომლის შედეგად უქმდება ის ადმინისტრაციული ბარიერები, რომელიც დაკავშირებულია დასაქმებულის მიერ ერთი პუნქტიდან მეორე პუნქტზე გადაადგილებასთან.
სტრუქტურული უმუშევრობა	<i>კვალიფიკაციის ამაღლებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამები</i>	ისეთი პროგრამების შემუშავება , რომელიც ხელს შეუწყობს უმუშევარს გადაემზადოს ისეთ სფეროებში, სადაც ვლინდება დიდი მოთხოვნა სამუშაო ძალაზე .
	<i>ახალგაზრდების დასაქმების პროგრამები</i>	ახალგაზრდების დასაქმების ხელშეწყობა, განპირობებული მათზე არსებული მცირე მოთხოვნით შრომის ბაზარზე, ცოდნისა და გამოცდილების უქონლობის გამო.
ციკლური უმუშევრობა	<i>ინვესტიციების ზრდა</i>	თანხის ინვესტირება კონკრეტულ სფეროში, მისი რეკონსტრუქციისა და კონკურენტუნარიანობის გასაზრდელად, რის შედეგად ადგილი ექნება პროდუქციაზე მოთხოვნის ზრდას . ასეთ დროს სავალდებულო ხდება ახალი სამუშაო ადგილების შექმნა .

ცხრილი 2.1 უმუშევრობის სახეობები და მათთან ბრძოლის მეთოდები.

როგორც უკვე ავლინებთ, არ არსებობს ერთიანი მეთოდიკა, რის გამოც რომელიმე კონკრეტული პროგრამის შერჩევასა უნდა მოხდეს მისი შესაბამისობაში მოყვანა ქვეყანაში არსებულ ეკონომიკურ პოლიტიკასთან იმისათვის, რომ ადგილი არ ჰქონდეს ურთიერთგამომრიცხავ ეფექტებს.

თავი II. უმუშევართა შემწეობის არსი, მისი მიზნები და ფუნქციები

2.1. უმუშევართა შემწეობა- როგორც უმუშევრობასთან ბრძოლის ერთ-ერთი საშუალება.

სიტუაცია გლობალურ შრომის ბაზარზე არ არის ოპტიმალური. გასათვალისწინებელია, რომ ორას მილიონზე მეტი ადამიანი არის სამუშაოს გარეშე. დასაქმების ზრდის ტემპები კი მცირეა. უმრავლესობისათვის ძირითადი არსებობის წყაროა - *უმუშევართა შემწეობა*.

განსაზღვრება¹. *უმუშევართა შემწეობა - სოციალური დაცვის ფარგლებში სახელმწიფო ფონდიდან პერიოდულად გაცემული ფულადი თანხაა, რომელიც გაიცემა კანონით აღიარებულ უმუშევარ ფიზიკურ პირებზე¹.*

კონსერვატორი ეკონომისტები მიიჩნევენ, რომ უმუშევართა შემწეობები უარყოფითად მოქმედებენ დასაქმების დონეზე. უმუშევრები ფულს დებულობენ რეგულარულად, რაც საკმარისია საარსებო ხარჯების დასაფარად, ამიტომ ისმის კითხვა: რა საჭიროა სამუშაო ადგილის პოვნა, თუ შეიძლება პაუზის გაკეთება და სახელმწიფოს ხარჯზე არსებობა?

1950-1960-ან წლებში მიიჩნეოდა, რომ უმუშევართა შემწეობები ხელს უწყობდა ეკონომიკის სტიმულირებას. ლოგიკა შემდეგშია: უმუშევარი იღებდა დამატებით ფინანსებს, რომლის ხარჯვა შეეძლო პირველადი საქონლის შესაძენად, რაც თავის მხრივ აცოცხლებდა ეკონომიკას.

მაგალითად, ეკონომისტმა **მარკ ზენდმა** 2004 წელს გამოაქვეყნა კვლევა, რომლის მიხედვითაც ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხის ზრდა უმუშევართა შემწეობებზე, წარმოადგენს ეკონომიკის სტიმულირების ერთ-ერთ საშუალებას. ყოველი დოლარი, ჩადებული აღნიშნულ პროგრამაში, უზრუნველყოფს \$1,73².

¹ ფინანსური ლექსიკონი FINAM.

² Moody's Economy.com

2008 წელს, მსოფლიო კრიზისის დროს, აშშ-ს კონგრესის საბიუჯეტო დეპარტამენტმა გაანალიზა მრავალი ვარიანტი, რომელიც დაეხმარებოდა ამერიკას „კრიზისიდან გამოსვლაში და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ **უმუშევართა შემწეობების ზრდა ერთ-ერთი ეფექტური მეთოდია.**

გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ უმუშევართა შემწეობების გაცემის პროცედურა უნდა იყოს დროებითი, ვინაიდან მისი გაცემა ამცირებს სამუშაო ადგილის ძიების მოტივაციას. აშშ-ს შრომის სტატისტიკის ბიუროს მონაცემების მიხედვით, მრავალი უმუშევარი პოულობს სამუშაო ადგილს 2-3 კვირაში, შემწეობის გაცემის შეწყვეტის შემდეგ. მიზეზად შეიძლება მოგვევლინოს მრავალი ფაქტი: შეიძლება შეიცვალოს ეკონომიკური კონიუქტურა, ასევე შესაძლებელია უმუშევარი დათანხმდეს იმ შემოთავაზებას, რაზეც წარსულში უარი განაცხადა ან გადავიდეს სხვა ქალაქში, სადაც არის მისთვის მისაღები სამსახური.

როგორც ზემოთ ვახსენეთ, კონსერვატორ ეკონომისტებს ნეგატიური დამოკიდებულება აქვთ უმუშევართა შემწეობების მიმართ. მიუხედავად ამისა, პროფესორი **რობერტ მოფიტის** თვალსაზრისით, უმუშევართა შემწეობები ეხმარება მოსახლეობას, მაგრამ მისი როლი შეზღუდულია: მისი ოდენობა არ აღემატება საარსებო მინიმუმის თანხას და გაცემის პერიოდიც არ არის ხანგრძლივი. ასე მაგალითად, აშშ-ში შემწეობას გასცემენ 6 თვის განმავლობაში.

პროფესორი **მოფიტი** არც უარყოფს იმ ფაქტს, რომ უმუშევრები არ ჩქარობენ სამუშაო ადგილის მოპოვებას, თუმცა ექსპერტი ამ შემთხვევაშიც კი პოულობს დადებით მხარეებს. კერძოდ, პირები, რომელნიც იღებენ შემწეობებს, უარს ამბობენ ისეთ სამსახურზე, რომელიც არ შეესაბამება მათ განათლებას და კვალიფიკაციას. ის მიიჩნევს, რომ ამგვარი სახის „სოციალური დახმარების,, ძირითადი მიზანია მოსახლეობის დაუცველი კატეგორიის დაცვა, რადგან მაღალი კლასის წარმომადგენლებს აქვს დანაზოგები და ქონება, დაბალი შემოსავლის მქონე პირები კი, თუ არ მიიღებენ შემწეობებს, შეიძლება აღმოჩნდნენ სიღარიბის ზღვარს მიღმა.

რობერტ მოტიფი აღნიშნავს, რომ უმუშევართა შემწეობები არ არის პანაცეა. სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს არა მხოლოდ სოციალური პროგრამები, არამედ მასტიმულირებელი როლი ითამაშოს ეკონომიკის განვითარებაში, შექმნას ახალი სამუშაო ადგილები, შემოიტანოს კანონები, რომელიც ხელს შეუწყობს დამსაქმებელს გაცილებით მეტი შრომითი ძალის დაქირავებაში³.

2.2. უმუშევართა შემწეობების ამოცანები და ფუნქციები

უმუშევართა შემწეობების უზრუნველყოფა მიმართულია ორ ურთიერთდამოკიდებულ მიზანზე:

1. მატერიალურად არაუზრუნველყოფილი უმუშევარი პირისათვის გადაცემული ფულადი კომპენსაცია, რომელმაც ვერ მოიპოვა მისი კვალიფიკაციის და განათლების შესაბამისი სამსახური.
2. მატერიალური პირობების შექმნა სამსახურის მოსაპოვებლად.

უმუშევართა შემწეობას გააჩნია ორი ფუნქცია:

- უზრუნველყოფილი, რომლის იდეა მდგომარეობის მოხმარების სტაბილიზაციაში, ცხოვრების დონის დაცემის პრობლემის აღმოფხვრაში.
- მასტიმულირებელი, რომელიც ხელს უწყობს უმუშევარს სამუშაოს პოვნაში.

აღნიშნულ ფუნქციებს ერთმანეთის მიმართ საპირისპირო პოზიციები გააჩნიათ, მაგრამ ამის მოგვარება შესაძლებელია: უმუშევართა შემწეობის გაცემის პერიოდისა და უმუშევართა შემწეობების თანხის განსაზღვრით.

ამდენად, შეიძლება იყოს სამი უმთავრესი ამოცანა უმუშევართა შემწეობების სასარგებლოდ:

- რისკის მართვა, რომელიც მიმართულია მუშაკის შემოსავლის დაკარგვის რისკის წინააღმდეგ - ამ შემთხვევაში შეიძლება საუბარი უმუშევრობის შესახებ დაზღვევაზე;
- შემოსავლის შენარჩუნება / სიღარიბის თავიდან აცილება - ამ შემთხვევაში შეიძლება ვისაუბროთ უმუშევრების დახმარებაზე;
- პოლიტიკური მოსაზრებები - ეფექტი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ გარემოზე.

^{3 3} *Robert A. Moffitt* „Unemployment benefits and unemployment“ 2014

ლიტერატურაში ადგილი აქვს სხვა მოსაზრებებს უმუშევართა შემწეობების ფუნქციების მიმართ. პირობითად, **ა. ბონდარი** გამოყოფს უმუშევართა შემწეობების შემდეგ ფუნქციებს:

- ❖ უზრუნველყოფილი ფუნქცია
- ❖ დაცვითი ფუნქცია
- ❖ საკომპენსაციო ფუნქცია
- ❖ მწარმოებელი ფუნქცია
- ❖ სოციალურ-ფსიქოლოგიური ფუნქცია

უზრუნველყოფილ ფუნქციაში ავტორი გულისხმობს ცხოვრების უზრუნველყოფას ნორმალურ დონეზე. *საკომპენსაციო* - დაკარგული შემოსავლის აღდგენას. აღნიშნული ფუნქციებს მსგავსი შინაარსობრივი დატვირთვა აქვთ. მათი გაერთიანებით შეგვიძლია დავადგინოთ რამდენად კარგად უზრუნველყოფს შემწეობა მოხმარების სტაბილიზაციას. *მწარმოებელი ფუნქციის* იდეა მდგომარეობს იმაში, რომ შემწეობები დადებით ზეგავლენას ახდენენ ქვეყნის ეკონომიკაზე. ზოგადად, აღნიშნულ ფუნქციას გააჩნია მაკროეკონომიკური შინაარსი, ანუ როდესაც პიროვნება იღებს შემწეობას, ის ახორციელებს პირველადი მოხმარების საქონლის შეძენას, რაც თავის მხრივ, ხელს უწყობს ქვეყანაში წარმოების დონისა და ეკონომიკურ ზრდას⁴.

ამ ფუნქციების საფუძველზე შეგვიძლია გამოვყოთ უმუშევართა შემწეობების ძირითადი მახასიათებლები. კერძოდ, შემწეობა - არის პერიოდული ფულადი ანაზღაურება იმ პირისთვის, რომელიც მიიჩნევა უმუშევრად, რაც ერთი მხრივ უზრუნველყოფს ცხოვრების დონის მკვეთრი დაცემის შეჩერებას, ხოლო მეორე მხრივ სამსახურის აქტიურ ძიების დაწყებას.

დღევანდელი მდგომარეობით, მსოფლიოში არის 72 ქვეყანა, რომელიც უზრუნველყოფს ამა თუ იმ ფორმით უმუშევართა შემწეობების გაცემას. მსოფლიოში უმუშევართა დაზღვევის მიღება დაკავშირებული იყო რეგიონალურ პრობლემებთან და მსოფლიო კრიზისთან. აშშ და კანადამ შექმნეს თავისი სისტემები 1935-ში და 1940-ში, დიდი დეპრესიის საპასუხოდ. უმუშევართა დაზღვევის პროგრამის გაფართოება კორეაში,

⁴ А.Ю. Бондарь Правовое регулирование содействия занятости населения в Российской Федерации. –Екатеринбург: Изд-во Урал. ун-та, 2003. – С. 160–161.

განაპირობა აზიურმა ფინანსურმა კრიზისმა 1998 წელს. ტაილანდის ეკონომიკა აღდგა 2004 წელს, როდესაც მთავრობამ შემოიტანა უმუშევართა შემწეობების პოლიტიკა. პრაქტიკულად ყველა ზემოთ ნახსენებ ქვეყანაში არსებობს სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს უმუშევართა დაზღვევას. ამასთან, ბევრ ქვეყანაში დასაქმების ეფექტურ მექანიზმად განიხილება არა მხოლოდ შემწეობების გაცემა, არამედ ხელშეწყობა დასაქმებაში. იგულისხმება:

- ✓ კონსულტაცია
- ✓ CV მომზადება
- ✓ ვაკანსიებთან ხელმისაწვდომობა
- ✓ სატრანსპორტო ხარჯების ანაზღაურება (თუ სამუშაოს ძიებასთან არის დაკავშირებული)


გარდა ამისა, მსოფლიოში არსებული უმუშევართა დაზღვევის მრავალი სისტემა შეიცავს ისეთ პროგრამებს, რაც უზრუნველყოფს: *კვალიფიკაციის ამაღლებას, გადამზადებას, გადამზადებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურებას, შემწეობების გაცემის პერიოდის ზრდას, თუ სწავლების პერიოდი აღემატება გაცემის პერიოდს.*

თავი III უმუშევართა შემწეობების საერთაშორისო პრაქტიკა

იმისათვის, რომ უკეთ გავიგოთ უმუშევართა შემწეობების არსი, განვიხილოთ აღნიშნულთან დაკავშირებით არსებული პრაქტიკა, რომელიც გამოიყენება სხვადასხვა ქვეყნებში. ამისათვის განვიხილოთ 12 სისტემა. შერჩეულია შემდეგი ქვეყნები:

- ✓ ჩრდილოეთი ამერიკა - აშშ, კანადა
- ✓ სამხრეთი ამერიკა - ჩილი, არგენტინა, ბრაზილია
- ✓ ევროპა- საფრანგეთი, გერმანია, რუსეთი
- ✓ აზია- მონღოლეთი, ტაილანდი, ვიეტნამი, იაპონია.

უმუშევრობის დონე აღნიშნულ ქვეყნებში განსხვავდება თავისი მასშტაბით და მახასიათებლებით. ყველაზე მაღალი მახასიათებლებით (უმუშევრობის ბუნებრივ დონეზე 6%-ზე მეტი) გამოირჩევა : არგენტინა - 9,5 %, ბრაზილია-12,5%, საფრანგეთი 9,2%, ჩილი - 7,2%, მონღოლეთი- 6,3%. მაგრამ გასათვალისწინებელია ის ფაქტი,რომ უმუშევრობის საკმაოდ დაბალი დონე ვიეტნამში (1,9%) და ტაილანდში (0,7%) შეიძლება განპირობებული



გრაფიკი 3.1 უმუშევრობის დონე 2018 წლის მიხედვით
წყარო ILOSTAT

ული არაფორმალური სექტორით, რაც აუარესებს სტატისტიკას.

ყოველივე ზემოთ მითითებულ ქვეყანაში ჩამოყალიბებულია უნიკალური სოციალურ-ეკონომიკური პირობები და შრომის ბაზარი. შესაბამისად, შერჩეული პროგრამები გამოსახავენ არსებულ პირობებს, სოციალურ მდგომარეობას, ისტორიულ წინაპირობებს და განვითარებას.

3.1 უმუშევართა შემწეობების ზემოქმედება დასაქმების დონეზე

სწორად შემუშავებული უმუშევართა დაზღვევის სისტემა თამაშობს მნიშვნელოვან მასშტაბილიზირებელ როლს მაშინ, როდესაც ადგილი აქვს ეკონომიკის განვითარების შენელებას იმ რეგიონებში, სადაც იყო კრიზისი. უმუშევართა დაზღვევა ნაწილობრივ

უზრუნველყოფს იმ დაკარგული შემოსავლის ანაზღაურებას, წყვეთს უმუშევრობის გაზრდის ნეგატიურ ციკლს, რომელიც ამცირებს მოხმარების დონეს, რაც თავის მხრივ უარყოფითად მოქმედებს ეკონომიკის განვითარებაზე. მაგალითად, ლოურენს კრიმერინმა ჩაატარა კვლევა აშშ-ში (1999), სადაც 30 წლის განმავლობაში, ფედერალური უმუშევრობის დაზღვევის სისტემა მუშაობს, როგორც აშშ-ს ეკონომიკის სტაბილიზატორი. კვლევის შედეგების მიხედვით, უმუშევრობის დაზღვევის პროგრამების არარსებობისას, რეცესია იქნებოდა 15%-ით უფრო ღრმა და წელიწადში, საშუალოდ, 131,000 შემცირდებოდა სამუშაო ადგილების რაოდენობა. იგი ასევე ადასტურებს, რომ "ყოველი დამატებითი დოლარი უმუშევრობის დაზღვევაში ზრდის მშპ-ს \$ 2.15", რაც ხელს უწყობს ამერიკის ეკონომიკის აღორძინებას⁵.

სხვა კვლევების მიხედვით, გათვალისწინებულია უმუშევართა დაზღვევის მიერ შეტანილი წვლილი ეკონომიკური რეცესიის შედეგად. კვლევა ჩატარდა დოლარის მიერ (2009 წელს) და ის გვიჩვენებს, რომ უმუშევრობის დაზღვევა ავტომატური სტაბილიზატორია ეკონომიკური კრიზისის დროს. მან შთანთქა ევროპის ეკონომიკური ვარდნა, დაახლოებით 32%-ით, ხოლო აშშ-ში 19 პროცენტით.

დამსაქმებლები და მთავრობა მიიჩნევენ, რომ უმუშევართა დაზღვევის სისტემის არსებობა სტიმულს აძლევს უმუშევარს დასაქმდეს ეკონომიკის ისეთ სფეროებში, სადაც მოქმედებს აღნიშნული სისტემა. ის დაცვა, რომელსაც უზრუნველყოფს სისტემა, ხელს უწყობს ჩრდილოვანი, არაფორმალური ეკონომიკის შემცირებას, რადგან დამსაქმებლებს აქვს საშუალება დაინერესონ მოსახლეობა უფრო მიმზიდველი და კონკურენტუნარიანი ანაზღაურებით. უმუშევართა დაზღვევის სისტემა ეკონომიკური ვარდნის დროს, უზრუნველყოფს დასაქმებულთა გაშვების და არაფორმალური სექტორის განვითარების შეჩერებას, შემოსავლების ნაწილობრივი ჩანაცვლების საფუძველზე.

როგორც საზოგადოება, ასევე დამსაქმებლები ღებულობენ სარგებელს აღნიშნული სისტემიდან, რადგან უფრო მარტივად არის შესაძლებელი დასაქმებულთა გაშვება, ასევე უფრო დაბალია საზოგადოებრივი „ბუნტის“ რისკი. კონკრეტულ შემთხვევაში,

⁵ Chimerine, L.(1999), „Unemployment Insurance as an Automatic Stabilizer: Evidence of Effectiveness over Three Decades“ , Unemployment Insurance Occasional Paper 99-8.

დასაქმებულებიც შედარებით მარტივად ეგუებიან აღნიშნულ ფაქტს, რადგან იციან, რომ მათ აქვთ დროებითი დახმარების მიღების საშუალება.

რა თქმა უნდა, არსებობს კონტრარგუმენტები უმუშევართა შემწეობების მიმართ, რომლის მიხედვითაც, *აღნიშნულ დახმარებას აქვს დემოტივაციის ეფექტი და თვითონ ბენეფიციარები ნაკლებად არიან ჩართულნი ახალი სამუშაოს მოპოვებაში*. ამ დადებითი და უარყოფითი არგუმენტების გათვალისწინებით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ადგილი აქვს ეკონომისტთა ორ ბანაკს. აქედან გამომდინარე, საჭიროა უმუშევართა დაზღვევის სისტემის ეფექტური კონტროლი, რათა უმუშევარმა შეასრულოს ყველა ის პირობა, რაც საჭიროა დახმარების მისაღებად, მათ შორის სამუშაო ადგილის ძებნის აუცილებლობა.

ზემოაღნიშნულთან დაკავშირებულია ორი ასპექტი. **პირველი**, უმუშევართა ჩართულობა სამსახურის ძიებაში დამოკიდებულია შემწეობის მაქსიმალურ ნიშნულზე, ანუ რამდენად ხორცილედება მისი შემოსავლის ჩანაცვლება. **მეორე**, ანაზღაურების ფაქტორი იმუშავებს იმ დონეზე, რა დონეზეც არის სამსახურის ძიების პროცედურა.

საჭიროა ორივე ფაქტორის გაერთიანება, რადგან რაც უფრო მაღალია დახმარება, მით უფრო მკაცრი უნდა იყოს პირობები. თუმცა, რაც არ უნდა დაბალი იყოს შემწეობის დონე, მაინც საჭიროა სამუშაო ადგილის ძიების კონტროლი. ნებისმიერ შემთხვევაში, *სამუშაო ადგილის ძიება უნდა ჩაითვალოს სავალდებულო პირობად*. ეს არის ის პირობა, რომლის შესრულების შემთხვევაში, ეფექტურად იმუშავს უმუშევართა დაზღვევის სისტემა.

უმრავლეს ქვეყნებში, არსებობს სავალდებულო დაზღვევის ნაციონალური სისტემა, რომლის ფარგლებშიც გაიცემა შემწეობები, რომლებიც დამოკიდებულია იმ შრომის ანაზღაურებაზე, რომელსაც იღებდა დასაქმებული ბოლო სამუშაო ადგილას. აღნიშნული სისტემები დაფუძნებულია სოციალური დაზღვევის პრინციპებზე, რომელიც შესაბამისობაში მოდის შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (შსო) ნორმებთან. ნებისმიერი სოციალური დაზღვევის შემთხვევაში, სახეზეა სამი ძირითადი პრინციპი: სახელმწიფო პასუხისმგებლობა, კოლექტიური ფინანსირება, რისკების განაწილება მონაწილეთა შორის. 1952 წლის შსო-ს კონვენციაში “მინიმალური ნორმები სოციალური

უზრუნველყოფისათვის,, №102 მითითებულია, რომ სოციალური უზრუნველყოფის სისტემები ფინანსდება ან სადაზღვევო შენატანებით, ან გადასახადებით, ან ორივე წყაროდან, რათა მოხდეს რისკების გადანაწილება მონაწილეებს შორის.

ქვეყნების უმრავლესობა უმუშევართა შემწეობებს უკავშირებენ შრომის ბაზარზე არსებულ აქტიურ პოლიტიკას, რომლის იდეა მდგომარეობს იმაში, რომ ხელი შეუწყონ უმუშევრებს სამუშაო ადგილის ძიებაში და დასაქმების სტაბილური დონის შენარჩუნებაში. შსო-ს კონვენციის №168 მუხლში წერია, რომ პოლიტიკამ, რომელიც მიმართულია სტაბილურ, უინფლაციო ეკონომიკურ ზრდისკენ, ხელი უნდა შეუწყოს დასაქმებას, განსაკუთრებით კი პროფესიული ორიენტაციით, მომზადებით და რეაბილიტაციით. ქვეყნები უზრუნველყოფენ იმ მომსახურებას დასაქმების სფეროში, როგორცაა პროფესიული ორიენტაცია, დასაქმების ფორუმები, დახმარება რეზიუმეს შედგენაში, ინფორმაციის მიწოდება შრომის ბაზარზე.

3.2. უმუშევართა შემწეობების ეფექტი მოხმარების დონეზე

უმუშევართა შემწეობის მიზანია უზრუნველყოს დაკარგული ხელფასის ნაწილობრივ ანაზღაურება იმისათვის, რომ მოხდეს ცხოვრების დონის დასაშვებ დონეზე შენარჩუნება. ნათელია ის, რომ უმუშევართა შემწეობა გაზრდის მოხმარების დონეს, მაგრამ თუ რა ოდენობით მოხდება აღნიშნული, დამოკიდებულია რიგ ფაქტორებზე. ძირითადად, განვითარებულ ქვეყნებში დასაქმებულები ფულს ზოგავენ „შავი დღისთვის“, მაგრამ დანაზოგი არც თუ ისე დიდია, ხოლო იმ ოჯახებში სადაც დასაქმებულს ჰქონდა დაბალი ხელფასი, დანაზოგებს საერთოდ არ აქვს ადგილი.

მაშინ, როდესაც ადამიანი კარგავს სამუშაო ადგილს, არსებული მონაცემები მეტყველებს იმაზე, რომ უმუშევართა შემწეობების პროგრამა უზრუნველყოფს მოხმარების ზრდას (ჯონათჰან გრუბერი 1997). მაგალითად, არსებობს ისეთი დასაბუთება, რომლის მიხედვითაც უმუშევართა შემწეობის 10%-ით ზრდა ამცირებს მოხმარების დონის დაცემას 2,65%, ხოლო ის პირები, რომლებიც არ არიან უზრუნველყოფილნი შემწეობით, მოხმარებას ამცირებენ 22%-ით. როდესაც შემოსავლის ჩანაცვლების ეფექტი არის 84% ან

უფრო მეტი (ზოგიერთ ქვეყნებში), ეს საშუალებას აძლევს უმუშევარს შეინარჩუნოს ის მოხმარების დონე, რომელიც ჰქონდა სამუშაო ადგილის არსებობის შემთხვევაში. ხოლო თუ ჩანაცვლების კოეფიციენტი არის 60%-ზე, მაშინ მოხმარების დონე იცვლება, მაგრამ არც თუ ისე მნიშვნელოვნად. ამასთან ჩატარებული კვლევის შედეგად, პროგრამის რეალიზაციამ შეამცირა სიღარიბის დონე 22.5%-დან 13.6% მდე.

ასევე, **ჯონათჰან გრუბერის** კვლევის მიხედვით, უმუშევართა შემწეობამ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა მოხმარების შემცირების შეჩერებაში. შედეგი იყო შემდეგი: უმუშევართა შემწეობების გაცემის დროს, მოხმარების დონე მცირდება საშუალოდ 7 %-ით, ხოლო უმუშევართა დაზღვევის სისტემის არარსებობის დროს 22%-ით⁶.

აღსანიშნავია ზემოთხსენებული პროგრამის დადებითი ეფექტი მოხმარებაზე, როდესაც ეკონომიკა განიცდის რეცესიას. მაღალი უმუშევრობის დროს, დასაქმებულთა ხელფასები მცირდება და ამის შედეგად მცირდება გაწეული ხარჯებიც. ხარჯების შემცირებას მოჰყვება მოთხოვნის შემცირება, რაც ამცირებს წარმოების დონეს და საბოლოოდ უფრო ზრდის უმუშევრობას. ზუსტად ასეთ დროს კარგად მუშაობს უმუშევართა დაზღვევის პროგრამები, რომელიც ხელს უწყობს შემოსავლების სტაბილიზაციას და ამცირებს ხარჯების შემცირების დონეს. შედეგად, ვღებულობთ წმინდა ეფექტს: მშპ-ს შემცირება, რეცესიის ეფექტის შემცირება. ამიტომ, უმუშევართა შემწეობების პროგრამას უწოდებენ „ავტომატურ სტაბილიზატორებს ეკონომიკაში“: როდესაც ეკონომიკა მიდის კარგად, მაშინ არ გაიცემა იმხელა ბენეფიტი, რომ ადგილი ჰქონდეს ხარჯების ზრდას. მაგრამ, როდესაც ეკონომიკა ცუდ მდგომარეობაშია, პროგრამა ავტომატურად უზრუნველყოფს ხარჯების ზრდას, ეს კი ზუსტად არის ის, რაც სჭირდება ეკონომიკას ბიზნეს ციკლის დროს.

⁶ Gruber, J. (1997), „The Consumption Smoothing Benefits of Unemployment Insurance, American Economic Review“, 87 (1), p.192-205

3.3 უმუშევართა დაზღვევის ფონდების ინსტიტუციური სტრუქტურა.

უმუშევართა დაზღვევის ძირითადი ფუნქციაა შენატანების შეგროვება და უმუშევართა შემწეობების მიღების განაცხადების დამუშავება. ხშირ შემთხვევაში, სადაზღვევო შენატანების შეგროვებას ახორციელებენ ან საგადასახადო ორგანოები ან სოციალური დაზღვევის ორგანოები (მაგალითად, ვიეტნამში აღნიშნული ინსტიტუტები პასუხისმგებელი არიან შემწეობების გაცემაში). სოციალური დაზღვევის და შრომის სამინისტრო პასუხისმგებელია განაცხადების მიღებაში და დამუშავებაში (ისეთ ქვეყნებში, როგორცაა არგენტინა, კანადა, საფრანგეთი, აღნიშნული ინსტიტუტები გასცემენ შემწეობებს).

მაგალითად, მონღოლეთში არსებობს სამი ინსტიტუტი, რომელიც მონაწილეობს უმუშევართა დაზღვევის პროგრამის რეალიზაციაში: *სოციალური დაზღვევის გენერალური ბიურო* - პასუხისმგებელია შენატანების შეგროვებაზე, *შრომისა და სოციალური კეთილდღეობის ბიურო* - განაცხადების მიღება და დამუშავებაზე, *სოციალური კეთილდღეობისა და შრომის სამინისტრო* - შემწეობების გაცემაზე.

3.4. შემწეობების მართვის სისტემა

ძირითადად, ხელშეკრულების შეწყვეტის შემდეგ, დამსაქმებელი გასცემს ცნობას სამუშაოდან განთავისუფლების შესახებ და ამ ცნობით უმუშევარმა უნდა მიმართოს დასაქმების სააგენტოს ან უმუშევართა დაზღვევის სააგენტოს. აღნიშნულ ცნობაში, მითითებული არის ძირითადი სადაზღვევო შენატანები და დასაქმების პერიოდი. მოცემული ცნობა სჭირდება სააგენტოს, რომელიც იღებს და შემდგომ განიხილავს განცხადებებს იმისათვის, რომ შეაფასოს შემწეობის ოდენობა, ასევე დაადგინოს განთავისუფლების მიზეზი და ის, თუ რამდენად აქვს პირს იმის შესაძლებლობა, რომ მიიღოს შემწეობა.

პირობითად, კანადაში არ არის სავალდებულო დასაქმების სააგენტოსადმი მიმართვა. კანადაში ყველა განცხადებები ივსება ელექტრონულად და შესაბამისად, მომსახურება მიმდინარეობს ვირტუალურად.

უმუშევრებს აქვთ საშუალება მიიღონ შემწეობა ნაღდი ან უნაღდო ანგარიშსწორების სახით. მონღოლეთში გაცივმა ნაღდი ფულადი სახით. ვიეტნამში, დიდ ქალაქებში, შემწეობებს იღებენ უნაღდო ანგარიშსწორების სახით, ანგარიშზე თანხის ჩარიცხვის გზით, ხოლო რეგიონებში ნაღდი ფულადი სახით.

ჩემს მიერ არჩეულ ქვეყნებში გამოიყენება უმუშევართა შემწეობების გაცემის სხვადასხვა მიდგომები. აღნიშნული საკითხების განსახილველად ჩვენ მივმართავთ ILO-ს ორ ძირითად კონვენციას, რომელიც ეხება უმუშევართა შემწეობების გაცემას. ეს არის ILO-ს კონვენცია №102 „სოციალური უზრუნველყოფის მინიმალური ნორმების შესახებ“ და №168 „დასაქმებისა და უმუშევართა დაცვის ხელშეწყობის შესახებ“. 2002 წელს მსო-ს ადმინისტრაციულმა საბჭომ, კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ კონვენცია № 102 და №168 შეგვიძლია განვიხილოთ აქტუალურად სოციალურ უზრუნველყოფის სფეროში.

3.5. გავრცელების დონე

დაზღვევის კუთხით, უმუშევართა დაზღვევის ძირითადი მიზანია დასაქმებულთა დაცვა, რომელიც დაკავშირებულია სამუშაო ადგილის დაკარგვის რისკთან. სისტემა, რომელიც სრულიად ან ნაწილობრივ ფინანსდება შენატანებით, შეიძლება იყოს მყარი იმ შემთხვევაში, თუ ის დაფუძნებულია რისკების გაფართოებულ დანაწილებაზე. ეს მიზნები მაშინ არის მიღწევადი, როდესაც სისტემა ვრცელდება უმუშევართა დიდ ოდენობაზე, რაც ხელს უწყობს პოტენციურ უმუშევართა რეალურ კომპენსაციას. არანაკლებ მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ხარჯები ძირითადად ნაწილდება მოსახლეობის იმ ნაწილზე, რომლებიც ახორციელებენ შენატანებს.

სავალდებულო შენატანები იქნებოდა მნიშვნელოვნად დიდი, თუ მათი შეტანა მოუწევდათ დასაქმებულთა იმ ნაწილს, რომელნიც არიან სამუშაო ადგილიდან განთავისუფლების მაღალი რისკის მქონე პირები. თუ შევხედავთ საკითხს სხვაგვარად, არ

იქნებოდა სამართლიანი მხოლოდ მოსახლეობის იმ ნაწილის დაცვა, რომლებიც ითვლებიან დაბალი რისკის მქონე პირებად.

კონვენცია №168-ის მე-11 სტატიის მიხედვით, დაზღვევის პროგრამით უზრუნველყოფილი უნდა იყოს დასაქმებულთა 85%, მათ შორის სახელმწიფო სექტორში დასაქმებულები, თუ ისინი არ არიან დაცულნი სახელმწიფოს მხრიდან. აღნიშნული კონვენციის მე-6 მუხლი ავალდებულებს ქვეყნებს უზრუნველყონ თანაბარი და არადისკრიმინაციული პირობები. ხოლო №102 კონვენციის მიხედვით, დაზღვევის პროგრამით უზრუნველყოფილი უნდა იყოს დასაქმებულთა 50%. ორივე კონვენცია (№168 და №102) არ ითხოვს თვითდასაქმებულთა დაზღვევას, რაც დაკავშირებულია მუშაობის პირობების შეფასების სირთულეებთან. ასევე №168 კონვენციის მიხედვით, დაზღვევა ვრცელდება იმ პირებზე, რომლებიც არიან დასაქმებულნი არასრული სამუშაო გრაფიკი, გარდა იმ პირებისა, რომელთა ნამუშევარი საათები ან შემოსავალი არ არის მნიშვნელოვანი. ანუ სისტემაში მონაწილეობა უნდა მიიღონ იმ პირებმა, რომელნიც მუშაობენ თითქმის სრული სამუშაო გრაფიკი, ხოლო ის ვინც მუშაობს რამოდენიმე საათი კვირაში ან თვეში, უნდა იყვნენ გამორიცხულნი. ამიტომ, საჭიროა განისაზღვროს ნამუშევარი საათების მინიმალური ოდენობა და შემოსავალი.

ცხრილი 2.1 გვიჩვენებს 12 ქვეყნის დაზღვევის სისტემაში მოქცეულ მოსახლეობათა ჯგუფებს. თუმცა გასათვალისწინებელია, რომ არის გამონაკლისებიც. კერძოდ, როგორც ავღნიშნე, სისტემაში არ შედიან ის პირები, რომელთა მონაწილეობა შრომის ბაზარზე მინიმალურია და სპეციფიური სამუშაო პირობებით არიან დასაქმებულნი. ეს ეხება დროებით და სეზონურად მომუშავე პირებს- **ვიეტნამში**, დაბალი ანაზღაურებით- **გერმანია, იაპონია, შინამეურნეობები- არგენტინა, ჩილი**

ცხრილი 3.1 უმუშევართა შემწობების გავრცელების დონე
წყარო ILOSTAT

ქვეყანა	გავრცელება
არგენტინა	-კერძო სექტორში დასაქმებული პირები, მათ შორის დროებითი და სეზონურად მომუშავე პირები. -გამონაკლისი: თვითდასაქმებულები, შინამეურნეობები, სახელმწიფო მოხელეები .
ბრაზილია	-პირები რომელნიც დასაქმებულნი არიან კერძო სექტორში,

	<p>ასევე შინამეურნეობები.</p> <p>-გამონაკლისი: თვითდასაქმებულები</p>
ჩილე	<p>-ყველა დაქირავებული მომუშავე პირები.</p> <p>-გამონაკლისი: არასრულწლოვანი პირები, შინამეურნეობები, სამხედრო პირები, თვითდასაქმებულები, პენსიონერები (გარდა იმ, რომელნიც შრომიუუნარობის გამო გავიდნენ პენსიაზე).</p>
აშშ	<p>-თითქმის ყველა დაქირავებული პირი, რომელიც მონაწილეობს უმუშევართა დაზღვევის სისტემებში ფედერალურ და შტატების დონეზე, მათ შორის სახელმწიფო სტრუქტურებშიც მომუშავე პირები.</p> <p>-გამონაკლისი: სამხედრო ძალები და რკინიგზის კომპანიებში მომუშავე პირები (მათთვის არის შემუშავებული სპეციალური პროგრამები).</p>
კანადა	<p>-ყველა დაქირავებული მომუშავე, ასევე სამხედრო პირები და სახელმწიფო მოხელეები.</p> <p>-გამონაკლისი: თვითდასაქმებულები და მეწარმეები.</p>
საფრანგეთი	<p>-კერძო სექტორში დასაქმებული, მათ შორის შინამეურნეობები.</p> <p>-სახელმწიფო და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებმა თვითონ უნდა უზრუნველყონ დასაქმებულთა დაზღვევა ან მონაწილეობა მიიღონ დაზღვევის საერთო პროგრამაში.</p> <p>-განსაზღვრული ჯგუფებისთვის გამოიყენება სპეციალური პირობები, მაგალითად, პირები, რომელნიც იღებენ საკომოსიოს გაწეულ მომსახურებაზე და დროებით მომუშავეები.</p>
გერმანია	<p>-ყველა დასაქმებულები, გარდა იმ პირებისა, რომელთა თვიური შემოსავალი 400 ევროზე ნაკლებია.</p>
რუსეთი	<p>-მამაკაცები (16-დან 59-მდე), ქალები (16-დან 54-მდე)</p>
მონღოლეთი	<p>-ყველა დასაქმებული, მათ შორის სახელმწიფო დაწესებულებებში მომუშავე.</p> <p>-თვითდასაქმებულები, თუ ნებაყოფლობით დარეგისტრირდებიან სისტემაში.</p>
ვიეტნამი	<p>-მუდმივად და დროებით მომუშავე პირები, დამსაქმებლები, რომელთაც ათზე ნაკლები დაქირავებული მომუშავე ჰყავს, მათ შორის კერძო და სახელმწიფო დაწესებულებები და სამხედრო ძალები.</p>
ტაილანდი	<p>-კერძო სექტორის ყველა მომუშავე, გარდა ფერმერებისა, შინამეურნეობისა, კომპანიებისა, რომელთაც 2004-ში</p>

	აუმუშავდათ პროგრამა „გაუმჯობესებული სოციალური პაკეტი დასაქმებულებისათვის“
	-სახელმწიფო მოხელეები და სახელმწიფო დაწესებულებაში მომუშავე პირები(მათთვის შემუშავებულია ცალკე პროგრამა)
იაპონია	-კერძო სექტორში მომუშავე ყველა რეზიდენტი და არარეზიდენტი პირები, გარდა : ა) იმ პირთა, რომელთა ასაკი აღემატება 65 წელს; ბ) არასრული სამუშაო გრაფიკით დასაქმებული პირები, რომელნიც კვირაში მუშაობენ 20 საათზე ნაკლებს ; გ) სეზონურად მომუშავე პირები.

რაც შეეხება არაფორმალურ სექტორს, ანუ მომუშავეებს, რომელნიც აღმოჩნდნენ რთულ სიტუაციაში ფორმალური დასაქმების გამო, ისინი ფიზიკურად ვერ მოხვდებიან დაზღვევის პროგრამაში. შემწეობების პროგრამას შეუძლია მისცეს სტიმული მომუშავეებს, რომ გადმოვიდნენ ფორმალურ სექტორში, თუ ისინი ნახავენ მისგან სარგებელს კეთილდღეობის პოტენციური გაზრდის კუთხით.

3.5.1.პირობები, რომელნიც უფლებას აძლევენ შემწეობების მიღებას:

მუშაობის პერიოდი და შენატანების პერიოდულობა.


იმისათვის, რომ პიროვნებამ მიიღოს უმუშევრობათა შემწეობა, უნდა შესრულდეს ორი მნიშვნელოვანი პირობა. პირველ რიგში, შემწეობების მიღების უფლება დამოკიდებულია წინა სამსახურზე და შენატანებზე. ასევე, მნიშვნელოვანია რისკის ხასიათი, რომელიც დაკავშირებულია უმუშევრობასთან. პირობითად, რით იყო გამოწვეული? სამუშაოდან წასვლა იყო ნებაყოფლობითი თუ პირი სხვა მიზეზების გამო იყო გაშვებული?

პირველი პირობის მიხედვით, კონვენცია №102 და №168 -ში აღნიშნულია, რომ მუშაობის პერიოდი და სადაზღვევო შენატანები არ უნდა იყოს იმაზე მეტი, ვიდრე საჭიროა. ძირითადად ქვეყნებში შენატანების პერიოდულობა იწელება 12 თვემდე, რის შემდგომ პიროვნებას აქვს უფლება მიიღოს უმუშევართა შემწეობა. რიგ ქვეყნებში, აღნიშნული პერიოდი შეადგენს 6 თვეს. მსგავსი პირობებებია არგენტინაში, ჩილეში (დროებითი კადრებისთვის), აშშ-ში, იაპონიაში და ტაილანდი. ხოლო 12 თვის

განმავლობაში - ჩილე (მუდმივი თანამშრომლებისთვის), გერმანია, ვიეტნამი. საფრანგეთში შედარებით ლოიალურად უდგებიან აღნიშნულ საკითხს და მოითხოვება 4 თვის შენატანი უმუშევართა სოციალურ ფონდში. შედარებით მკაცრადაა საქმე, სადაც მოთხოვნაში ფიქსირდება 24 თვის შენატანი, საიდანაც უკანასკნელი 9 თვე უნდა იყოს წყვეტის გარეშე. მაგრამ ყველა ქვეყანაში არ არის სავალდებულო სადაზღვევო შენატანები. ამის ნათელი მაგალითია რუსეთი, სადაც არ მოქმედებს მსგავსი შეზღუდვა. შესაბამისად, შემწეობების მისაღებად სადაზღვევო შენატანები არ განიხილება.

უნიკალური მოთხოვნებია კანადაში. შენატანების პერიოდულობა დამოკიდებულია რეგიონის უმუშევრობის დონეზე. შემწეობის მიღება შეუძლია უმუშევარს, რომელმაც იმუშავა დაახლოებით 420 საათი ან 10-12 კვირა და თუ ის მუშაობს მაღალი უმუშევრობის მქონე რეგიონში (უმუშევრობის დონე აღემატება 13%). დასაქმებულთა დაზღვევის კანადურ სისტემას არ გააჩნია ანალოგები, რადგან მუშაობის პირობები აღირიცხება საათებში. აღნიშნული სისტემა უხდება სეზონურ მომუშავეებს და დასაქმებულთა იმ კატეგორიას, რომელნიც არ მუშაობენ სრული სამუშაო დღე, ვინაიდან მათ შორის ძირითადად არიან ქალები.

პრობლემას ვაწყდებით იმ საკითხებში, რომლებიც ეხება სეზონურად დასაქმებულ პირებს. ქვეყნებმა უნდა გადაწყვიტონ თუ რა რეაგირებას მოახდენენ იმ განცხადებების მიღებაზე, რომლებიც დაკავშირებულია სეზონურად დასაქმებულ პირებთან. აღნიშნული პრობლემა დაკავშირებულია ეკონომიკის სტრუქტურასთან და იმ სექტორის მნიშვნელობაზე, სადაც დომინირებს სეზონური დასაქმება.



გრაფიკი 3.2 : სადაზღვევო შენატანების მინიმალური პერიოდი(თვე)

ბევრ ქვეყანაში, იმისათვის, რომ პირმა მიიღოს შემწეობა სავალდებულო დასაქმების სააგენტოებში რეგისტრაცია. მაგალითად: საფრანგეთში, გერმანიაში და სხვა ქვეყნებში შემუშავებულია ინდივიდუალური დასაქმების და კვალიფიკაციის ამალგების პროგრამები. აშშ-ში კი რეალიზდება „პროფილიზაციის და განმეორებითი დასაქმების სერვისი“ იმ პირთა გამოსავლენად, რომლებიც დიდი ალბათობით დარჩებიან უმუშევრები ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში ან იმყოფებიან განთავისუფლების მაღალი რისკის ქვეშ.

3.5.2. პირობები, რომელნიც უფლებას აძლევენ შემწეობების მიღებას:

უმუშევრობის მიზეზები.

ერთი მხრივ, უმუშევარმა უნდა იმუშაოს საკმარისი ოდენობის საათი და ჰქონდეს შენატანები იმისათვის, რომ ჰქონდეს შემწეობის მიღების უფლება. მეორე მხრივ, მნიშვნელოვანია, როგორ და რატომ დარჩა სამსახურის გარეშე, რადგან ეს არის ერთ-ერთი ფაქტორი, რომელსაც ითვალისწინებენ შემწეობის გასაცემად. ეს საკითხი წარმოადგენს

გამოსავალს იმ პირებისთვის, რომელნიც გაუშვეს სამსახურიდან ეკონომიკური საჭიროებების გამო. კონვენცია №168-ში მითითებულია, რომ ორგანოს, რომელიც უფლებამოსილია გასცეს შემწეობები, შეუძლია უარი უთხრას უმუშევარს, თუ განთავისუფლების მიზეზია: დისციპლინური სასჯელი, კონკრეტული მიზეზის გარეშე წავიდა სამსახურიდან, შრომითი კონფლიქტი. კონვენცია №102-ში ანალოგიურად არის მითითებული.

მიუხედავად ამისა, თითქმის ყველა ქვეყანაში შემწეობებს გასცემენ იმ პირებზე, რომელთათვის სამსახურიდან წასვლის მიზეზი იყო: ხელფასის დაგვიანებული გაცემა, არასასურველი სამუშაო პირობები ან დამსაქმებლის არაკანონიერი ქმედებები. OECD-მ აღნიშნა, რომ როდესაც მიმდინარეობს იმის განხილვა, თუ ვის ეკუთვნის შემწეობა და ვის არა, აუცილებლად გასათვალისწინებელია ის ფაქტორი, რომ დარღვევები დამსაქმებლის მხრიდან, შეიძლება ჩავთვალოთ სამსახურიდან წასვლის მიზეზად. შედეგად, აღნიშნულ პირებზეც უნდა მოხდეს შემწეობების გაცემა.

ასევე ითვალისწინებენ იმ მიზეზებს, რომლებიც არაა კავშირში დასაქმებასთან. მაგალითად: როდესაც მომუშავე გადადის სხვა ქალაქში ოჯახის წევრის გამო, რათა თავი აარიდოს ოჯახურ პრობლემებს. ასეთი მიზეზები მიიჩნევა საპატიოდ საფრანგეთში, კანადაში, აშშ-ს რამოდენიმე შტატში. საბოლოო ჯამში, უნდა შეფასდეს აღნიშნული დარღვევა გამოწვეული იყო დამსაქმებლის ბრალით თუ დასაქმებულის.

მაგალითად, ჩილეში, თუ დასაქმებული საკუთარი სურვილით წავიდა სამუშაო ადგილიდან, ავტომატურად არ აქვს უფლება მიიღოს შემწეობა, რადგან კანონმდებლობა არ ითვალისწინებს სამსახურიდან წასვლის რაიმე საპატიო მიზეზს. ასეთ დროს, დასაქმებულს შეუძლია სასამართლოში უჩივლოს დამსაქმებელს. მაგრამ, თუ ნებაყოფლობითი უმუშევარი ითხოვს ინდივიდუალური შემნახველი სადაზღვევო ანგარიშიდან თანხის მიღებას, ის მომენტალურად იღებს სრულ თანხას. მაგალითად, ვიეტნამში შემწეობა გაიცემა ნებაყოფლობით უმუშევრებზე. ტაილანდშიც მსგავსი რეჟიმია, თუმცა გაიცემა ნაკლები თანხა (შემოსავლის 30 % ნაცვლად 60%) და ნაკლები პერიოდის განმავლობაში (3 თვე 6-ის ნაცვლად).

3.6 პირის შესაძლებლობა, შეინარჩუნოს შემწეობის მიღების

უფლებამოსილება

იმის შემდეგ, რაც უმუშევარი მიიღებს შემწეობის მიღების უფლებას, მან უნდა დაადასტუროს თავისი სტატუსი, რათა რეგულარულად მოხდეს კომპენსაციის გაცემა. უმუშევართა დაზღვევის პრობემების მიხედვით, თითქმის ყველა ქვეყანაში უმუშევარი უნდა იყოს შრომისუნარიანი და აქტიურად უნდა იყოს ჩართული სამუშაო ადგილის ძიებაში. ჩამოთვლილი ყველა პრობა შეესაბამება №168 კონვენციის მე-10 სტატიას. პრაქტიკაში განმცხადებლებმა რეგულარულად უნდა მიმართონ დასაქმების ცენტრს, ზოგ ქვეყანაში კი აღნიშნული დასაშვებია მეილის ან ტელეფონის გამოყენების საშუალებით. დასაქმების ცენტრი შეიძლება დაინტერესდეს თუ რა ქმედებებს მიმართავს დაზღვეული სამუშაოს მოსაპოვებლად. მაგალითად, რომელ კომპანიაში იყო ბენეფიციარი. უმუშევრებმა უნდა მიაწოდონ ინფორმაცია სამუშაოს ძიების შესახებ იმ სიხშირით, რა სიხშირითაც იღებენ შემწეობებს.

განმცხადებლები, ხშირ შემთხვევაში, იძულებულნი არიან დათანხმდნენ ნებისმიერ შემოთავაზებულ სამსახურს, თუ ის შეესაბამება მათ გამოცდილებას და მიღებულ განათლებას, რაც ნახსენებია №168 კონვენციაში. უმუშევრებმა უნდა გაიარონ ტრენინგები და მიიღონ მონაწილეობა დასაქმების მხარდამჭერ ღონისძიებებში.

მიუხედავად ამისა, ქვეყნები განსხვავდებიან აღნიშნული მოთხოვნების ხარისხით და თუ არ სრულდება მოთხოვნები, უმუშევართა შემწეობა იღებს „პასიურ“ ხასიათს. თუმცა პრაქტიკაში ხშირია შემთხვევები, როდესაც უმუშევარს ურჩევნია დასაქმება, რომელსაც მოაქვს იმაზე მეტი შემოსავალი, ვიდრე შემწეობას. მაგალითად, კანადაში გაირკვა, რომ მხოლოდ 27 %-მა ისარგებლა შემწეობით მთელი პერიოდის განმავლობაში მაშინ, როდესაც 55%-მა იპოვნა სხვა სამუშაო ადგილი, რომელსაც მოაქვს მეტი შემავალი⁷.

უმუშევართა მხარდამჭერის სტრატეგიის რეალიზაციის ფარგლებში საფრანგეთმა, გერმანიამ და სხვა ქვეყნებმა შეიმუშავეს დასაქმებისა და კვალიფიკაციის ამაღლების

⁷ EI Monitoring and Assessment Report 2010, Canada Employment Insurance Commission, 2011, http://www.hrsdc.gc.ca/eng/employment/ei/monitoring_assessment/index.shtml

ინდივიდუალური გეგმები, რომელიც საჭიროებს უმუშევრების მიერ განცხადების დაწერას, რის გამოც მათ უნდა მიმართონ დასაქმების ცენტრს. ძირითადად, ისეთი მოლოდინია, რომ რაც უფრო დიდი ხანი იღებს განმცხადებელი შემწეობას, მით უფრო აქტიურად უნდა იყოს ჩართული დასაქმებისა და კვალიფიკაციის ამაღლების ღონისძიებებში.

3.7. უმუშევართა შემწეობების გაცემის პერიოდი

იმ შემთხვევაში, როდესაც უმუშევარმა მოიპოვა უმუშევართა შემწეობების მიღების უფლება, მთავარ ელემენტებად ფორმულაში გვევლინება გაცემის პერიოდი და თანხის ოდენობა. კონვენცია №168-ის მე-19 მუხლის მიხედვით, შემწეობების გაცემის პერიოდი არ უნდა იყოს 26 კვირაზე ნაკლები ან 39 კვირაზე ნაკლები 2 წლის განმავლობაში. ხოლო კონვენცია №102-ის მიხედვით, ხანგრძლივობის მინიმუმი არის 13 კვირა წელიწადში.

უმუშევართა შემწეობების გაცემის მაქსიმალური პერიოდი დამოკიდებულია მრავალ ფაქტორზე, როგორცაა:

- ქვეყანაში არსებული მდგომარეობა
- უმუშევრობის სტრუქტურა
- შრომის ბაზრის კონიუქტურა.

გაცემის პერიოდი დამოკიდებული იმ მოთხოვნებზე, რომელსაც უყენებენ უმუშევარს შემწეობების მისაღებად. აქედან გამომდინარე, იმ ქვეყნებში, სადაც აარ არის მკაცრი მოთხოვნები, შემწეობების გაცემის პერიოდი არის მოკლე.

მხოლოდ ზოგიერთ ქვეყანაში შემწეობების გაცემის პერიოდი აღემატება 12 თვეს. თუ სახეზე იქნება მსგავსი შემთხვევა, აღნიშნული ძირითადად ეხება იმ პირებს, რომელნიც მუშაობდნენ დიდი ხნის განმავლობაში. ყველაზე მოკლე პერიოდია **მონღოლეთში** (ორ თვე ნახევრამდე). **საფრანგეთმა** დააწესა გაცემის მაქსიმალური პერიოდი და ეს არის 2 წელი, მაგრამ ამ გაცემის მაქსიმალური პერიოდი მიმდინარეობს 4 თვიანი სადაზღვევო შენატანების შემდეგ. **კანადაში** შემწეობების გაცემის პერიოდი არც თუ ისე დიდია იმ პირებისათვის, რომელთაც არ უმუშავიათ დიდი ხნის განმავლობაში. თუმცა რაც უფრო

დიდია უმუშევრობა რეგიონში, მით უფრო მეტი ხანი შეძლებენ შემწეობების მიღებას ის უმუშევრები, რომელნიც ცხოვრობენ მოცემულ რეგიონში⁸.

მხოლოდ ვიეტნამში, ყურადღება მახვილდება ნამუშევარი წლების რაოდენობაზე. მაგალითად, პიროვნება, რომელიც მუშაობდა 1 წელი, მას აქვს უფლება მიიღოს შემწეობა 3 თვის განმავლობაში, 3 წლის შემდეგ 6 თვის განმავლობაში, 6 წლის შემდეგ- 9 თვე , 12 წლის შემდეგ-12 თვე.

ზოგიერთ ქვეყანაში, შემწეობების გაცემის ხანგრძლივობა დამოკიდებულია არა მხოლოდ მუშაობის სტაჟზე, არამედ უმუშევართა ასაკზე. ამასთან, ხანში შესულ წარმომადგენებს აქვთ უფლება მიიღონ შემწეობა უფრო ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში. მაგალითად: **არგენტინა, საფრანგეთი, გერმანია, იაპონია.**

რიგ ქვეყნებში არის სპეციალური მიდგომები შემწეობების გაცემის მიმართ, როდესაც უმუშევრობა არის მაღალი ან როდესაც ადგილი აქვს სტიქიურ კატასტროფებს. გარდა ამისა, ხანგრძლივობის ზრდა შეიძლება სპეციალური კანონპროექტების საფუძველზე. მსგავსი კანონპროექტები: **ჩილეში, მონღოლეთში, იაპონიაში, ტაილანდში, აშშ-ში და კანადაში.**

აქედან გამომდინარე, მაქსიმალური პერიოდის შესარჩევად გამოიყენება სხვადასხვა მიდგომები, რომელიც დამოკიდებულია ქვეყანაში არსებულ სიტუაციაზე და პირობებზე, უმუშევრობის სტრუქტურაზე და ასევე გარე ფაქტორებზე. სადაზღვევო სისტემის კუთხით ეს არ არის ოპტიმალური, მაგრამ უნდა ავლნიშნოთ ის, რომ საჭიროა კომპრომისის არსებობა ოპტიმალურ პერიოდსა და ხარჯებს შორის.

კონვენცია №102 და №168-ში მითითებულია, რომ შემწეობები გაიცეს რეგულარულად, ერთჯერად გაცემასთან შედარებით, რადგან დასაბუთებულია, რომ ეს უფრო ეფექტურია უმუშევართა დაცვის კუთხით. შედარებითი ანალიზის დროს, დადგინდა კიდევ ერთი რამ, რაც ეხება შემწეობების გაცემას. ძირითადად, შემწეობები გაიცემა თვეში ერთხელ ხელფასის სახით. მაგრამ **კანადაში და აშშ-ში** უმუშევრები ბენეფიტებს იღებენ ორ კვირაში ერთხელ. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული სისტემა

⁸ ცხრილი: კვირების მაქსიმალური ოდენობა EI (employment insurance) ბენეფიტების მისაღებად. <https://www.canada.ca/en/services/benefits/ei/ei-regular-benefit/benefit-amount.html>

ადმინისტრაციულად უფრო რთულია, მას აქვს რიგი უპირატესობები. პირველ რიგში, რაც უფრო მოკლეა პერიოდი, მით უფრო ხშირად ხორციელდება მონიტორინგი უმუშევარზე, მის აქტივობებზე და სტატუსზე. ამასთან, ბენეფიციარები უფრო ხშირად და რეგულარულად იღებენ ფულად კომპენსაციას.

3.8. დასაქმება უმუშევრობათა შემწეობების მიღების დროს

რიგ ქვეყნებში, უმუშევრობათა დაზღვევის სისტემის ბენეფიციარებმა შეიძლება შემწეობები მიიღონ მთლიანად ან ნაწილობრივ თუ პარალელურად მუშაობენ არასრული სამუშაო დღე. მიუხედავად ამისა, მათ მიმართ გამოიყენება სტანდარტული წესები: პირები უნდა ცდილობდნენ მოიპოვონ მუდმივი სამსახური, მიიღონ შესაბამისი შეთავაზებები სამსახურიდან, ასევე უნდა გაიარონ საკვალიფიკაციო ტრენინგები ან მონაწილეობა მიიღონ დასაქმების ღონისძიებებში. თუ დროებითი სამუშაოს ანაზღაურება აღემატება განსაზღვრულ ლიმიტს, წყდება შემწეობების გაცემა ან/და მცირდება ბენეფიტი.

აღნიშნული მიდგომა განაპირობებს სამი მიზნის მიღწევას:

- ✓ აღნიშნული ხელს უწყობს უმუშევართა აქტიურობას შრომის ბაზარზე და მათი გამოცდილების გაზრდას. შტატგარეშე მუშაობა შეიძლება გახდეს ერთგვარი „ხიდი“ მუდმივი სამუშაოსაკენ.
- ✓ დამსაქმებლები შედარებით მარტივად პოულობენ კადრებს, რომელნიც თანახმა არიან იმუშაონ არასრული სამუშაო დღე.
- ✓ დასაქმებულებს საშუალება აქვთ შეინარჩუნონ კეთილდღეობის დონე, მაშინ როდესაც ვერ პოულობენ მუდმივ სამსახურს.

მსგავსი ნორმები მიღებულია **საფრანგეთში, გერმანიაში, კანადაში, იაპონია და აშშ-ში**. პირობითად, **საფრანგეთში** უმუშევართა შემწეობებს ღებულობენ ის მუშაკები, რომელნიც არიან დასაქმებული არასრული სამუშაო დღე, თუ მათი ანაზღაურება არ აღემატება იმ საშუალო ხელფასის 70%, რომელსაც ღებულობდა ადრე, და თუ 1 თვის განმავლობაში იმუშავა არაუმეტეს 110 საათისა. **გერმანიაში**, თუ ბენეფიციარები მუშაობენ კვირაში არაუმეტეს 15 საათისა, შეუძლიათ მიიღონ შემწეობის სრული ოდენობა და თუ ნამუშევარი საათების ოდენობა აღემატება 15 საათს, მათ არ აქვთ ბენეფიტის მიღების

უფლება. კანადაში უმუშევრებმა შეიძლება მიიღონ 75 კანადურ დოლარამდე კვირაში ან 40% მისი ყოველკვირეული შემწეობიდან. რუსეთში, თუ პიროვნება მუშაობს სრული სამუშაო დღე, მაგრამ არაუმეტეს 26 კვირისა ან არასრული სამუშაო დღე არაუმეტეს 26 კვირისა, მას ერიცხება 12 თვიანი გაცემის პერიოდის ფარგლებში: პირველი 3 თვის განმავლობაში - მისი წინა სამსახურის საშუალო ხელფასის 75%-ს, შემდეგი 4 თვე - 60%-ს, დარჩენილი თვეები - 45%-ს, მაგრამ ყველა, არაუმეტეს უმუშევართა შემწეობების მაქსიმალური თანხის და არანაკლებ მინიმალურ ოდენობისა, რომელიც მრავლდება რაიონულ კოეფიციენტზე⁹.

3.9. შემოსავლის ჩანაცვლების განაკვეთი

შსო-ს კონვენციის №168 მე-15 მუხლის თანახმად, შემოსავლის ჩანაცვლების კოეფიციენტი არ უნდა იყოს წინა სამუშაო ადგილის შემოსავლის 50%-ზე ნაკლები. კონვენციის №102 მიხედვით, 45%-ზე ნაკლები.

სადაზღვევო წესები შემოსავლის ჩანაცვლების განაკვეთისა და გაცემის პერიოდის შესახებ შემუშავებული იყო დაახლოებით 70 წლის წინ ალფრედ დ. უოტსონის მიერ, რომელიც იყო სადაზღვევო სტატისტიკოსი და რომელმაც მნიშვნელოვანი როლი ითამაშა კანადური სადაზღვევო სისტემის ფორმირებაში: „სადაზღვევო სისტემის ეფექტური ფუნქციონირებისათვის მეტად მნიშვნელოვანია მაღალი არის თუ არა შემწეობების ლიმიტი, ვიდრე მაღალი გაცემის პერიოდის ხანგრძლივობა, რადგან მაღალი განაკვეთი აისახება მთელ პერიოდზე, მიუხედავად იმისა მოკლეა თუ ხანგრძლივი. შედეგად, განმცხადებლის აქტივობა სამუშაოს ძიებასთან მიმართებაში მცირდება.“¹⁰

ძირითადად, შემწეობის ოდენობა ვარირებს წინა სამუშაო ადგილიდან შემოსავლის 50%-60%-ს ფარგლებში. ასეა ისეთ ქვეყნებში, როგორცაა არგენტინა (პირველი 4 თვე), კანადა, ჩილე (პირველი თვე), გერმანია, აშშ, ვიეტნამი. გერმანიაში განაკვეთი 67%-ზე

⁹ ვინაიდან რუსეთს აქვს დიდი ტერიტორია, მოსახლეობა, რომელიც ცხოვრობს სხვადასხვა რეგიონებში, არიან მკვეთრად განსხვავებულ პირობებში. ზოგიერთ ადგილას კლიმატური პირობების გამო უფრო ძვირია ცხოვრება, ამასთან შრომითი პირობები ისეთია, რომ უფრო აწვება მოსახლეობის ჯანმრთელობას. შესაბამისად, იმისათვის რომ არ მოხდეს მოსახლეობის შრომის არასამართლიანი შეფასება, საჭირო გახდა იმ მექანიზმის გამოყენება, რომელიც უზრუნველყოფს შემოსავლებს თანასწორობას, რაც ინდექსირებადია კლიმატური პირობებით.

¹⁰ A.D. Watson : An Explanation of the Principles and Main Provisions of the Unemployment Insurance Act. (Ottawa, 1953)

მეტია, თუ პირს ჰყავს შვილი. რუსეთში, პირველი 3 თვე არის 70%, ხოლო საფრანგეთში და იაპონიაში (75 და 80 % შესაბამისად). დაბალი მაჩვენებლებია ჩილე და არგენტინაში. ორივე ქვეყანა გასცემს ყოველთვიურ ბენეფიტს კლებადი განაკვეთის მიხედვით 50-დან 30%-მდე ჩილეში, 50-დან 35%-მდე არგენტინაში. დროებით დასაქმებულებს ჩილეში შეუძლიათ მიიღონ შემწეობა 2 თვის განმავლობაში 35 – 30% ფარგლებში. მონღოლეთში მომუშავე პირები იღებენ წინა სამსახურიდან მიღებული შემოსავლის 45%-ს, მაგრამ თუ მისი სამუშაო სტაჟი აღემატება 5 წელს, მაშინ შემოსავლის ჩანაცვლების განაკვეთი იზრდება მინიმუმ 50%-მდე.

ცხრილი 3.2 სადაზღვევო პაკეტი შერჩეულ ქვეყნებში

ქვეყანა	მოთხოვნები უმუშევრის მიმართ შემწეობის მისაღებად	შემწეობის გაცემის პერიოდი	შემწეობის ოდენობა
კონვენცია №102	მე20 მუხლი: შემწეობების გაცემა შეიძლება იმ პირზე რომელიც ვერ იღებს შემოსავალს, რადგან ვერ პოულობს სამუშაო ადგილს.	24 მუხლი: პერიოდი იზღუდება 13 კვირით 12 თვიანი პერიოდის ფარგლებში ან 26 კვირით 12 თვიანი პერიოდის ფარგლებში, როდესაც მიმდინარეობს იმ მუშების დაცვა, რომელნიც ჯდებათ ლიმიტის ფარგლებში.	67 მუხლი: შემწეობების ოდენობა ბენეფიციარისთვის მინიმუმ უნდა შეადგენდეს შრომის ანაზღაურების 45%.
კონვენცია №168	მუხლი 20 და 21: შემწეობის გაცემაზე უარის თქმა, ან მისი გაცემის შეწყვეტა შესაძლებელია თუ: - არ არის ქვეყნის ტერიტორიაზე. - თავისი ნებით წავიდა სამსახურიდან საპატიო მიზეზის გარეშე. -თვითონ უზრუნველყო სამუშაოდან გაშვება. -მოტყუებით ცდილობდა შემწეობის მიღებას. -უარი თქვა მისთვის შესაბამის სამსახურზე. -ღებულობს სხვა ბენეფიტებს, რაც ადენს დაკარგული შემოსავლის კომპენსაციას.	19 მუხლი: გაცემის პერიოდი იზღუდება 26 კვირით უმუშევრობის ყოველ პერიოდში , ან 39 კვირით 24 თვის განმავლობაში	მუხლი 15.1: შემწეობა უნდა იყოს არანაკლებ წინა სამუშაოს შრომის ანაზღაურების 50%, ან არანაკლებ 50% მინიმალური ხელფასის, ან იმ შრომის ანაზღაურების რომელიც უზრუნველყოფს პირის კვლავწარმოებას. გაიცემა ის რომელიც უფრო მეტს შემოსავალს უზრუნველყოფს.

არგენტინა	<p>-მინიმუმ 6 თვიანი უწყვეტი მუშაობა და სადაზღვევო შენატანები 3 წლის განმავლობაში</p> <p>-იძულებითი უმუშევრობა, ან სამუშაო ადგილის დაკარგვა საპატიო მიზეზების გამო.</p>	<p>დამოკიდებულია შენატანების პერიოდზე:</p> <ul style="list-style-type: none"> - 6-11 თვე: 2 თვე გაცემა - 12-23 თვე: 4 თვე გაცემა - 24-35 თვე: 8 თვე გაცემა - 36 თვე და მეტი: 12 თვე გაცემა <p>-6 დამატებითი თვე იმ პირებისათვის რომელთა ასაკი აღემატება 45ს</p>	<p>4 თვის განმავლობაში წინა სამუშაო ადგილი 6 თვის ხელფასის საშუალო მნიშვნელობის 50%. შემდეგი 4 თვე- 42,5%, დანარჩენი პერიოდი 35%</p>																							
ვიეტნამი	<p>-სადაზღვევო შენატანები არანაკლებ 12 უკანასკნელი 24 თვის განმავლობაში.</p> <p>-დარეგისტრირებულია უმუშევრად დასაქმების ცენტრში</p> <p>-სამუშაოს გარეშე უკანასკნელი 15 დღე რეგისტრაციის შემდეგ -არ იღებს პენსიას.</p>	<p>- 3 თვიანი გაცემა თუ დაზღვეული იყო 12-35 თვის განმავლობაში</p> <p>-6 თვიანი გაცემია თუ დაზღვეული იყო 36-71 თვის განმავლობაში.</p> <p>-9 თვიანი თუ 72-143 თვის განმავლობაში იყო დაზღვეული</p> <p>- 12 თვე თუ 144 და მეტი.</p>	<p>- იმ საშუალო ხელფასის 60%, რომლიდანაც მიმდინარეობდა შენატანები უკანასკნელი 6 თვის განმავლობაში, მაგრამ არაუმეტეს მინიმალური ხელფასის 20მაგი ოდენობის.</p> <p>- ერთი და იგივე თანხის გამეცა ნებაყოფლობითი ან იძულებითი უმუშევრობის გამო.</p>																							
გერმანია	<p>-უნდა იმუშაოს მინიმუმ 12 თვე უკანასკნელი 3 წლის განმავლობაში.</p> <p>-ასაკი არ უნდა აღემატებოდეს 65 წელს</p> <p>- იყოს უმუშევარი</p> <p>-დარეგისტრირებულია უმუშევრად</p> <p>- ეძებს სამუშაოს და მზადაა მუშაობის დასაწყებად</p> <p>-იძულებით უმუშევრობა</p>	<p>- დამოკიდებულია ასაკზე და მუშაობის პერიოდზე</p> <table border="1" data-bbox="787 1018 1209 1438"> <thead> <tr> <th>შენატანები (თვე)</th> <th>პერიოდი</th> <th>ასაკი</th> </tr> </thead> <tbody> <tr> <td>12</td> <td>6</td> <td rowspan="5" style="writing-mode: vertical-rl; transform: rotate(180deg);">საინფორმაცია</td> </tr> <tr> <td>16</td> <td>8</td> </tr> <tr> <td>20</td> <td>10</td> </tr> <tr> <td>24</td> <td>12</td> </tr> <tr> <td>30</td> <td>15</td> </tr> <tr> <td>36</td> <td>18</td> <td><50</td> </tr> <tr> <td>48</td> <td>24</td> <td><55</td> </tr> <tr> <td></td> <td></td> <td><58</td> </tr> </tbody> </table>	შენატანები (თვე)	პერიოდი	ასაკი	12	6	საინფორმაცია	16	8	20	10	24	12	30	15	36	18	<50	48	24	<55			<58	<p>-სტანდარტული განაკვეთი: 60% წინა სამუშაო ადგილზე არსებული ანაზღაურების, გამოკლებული გადასახადები და შენატანები.</p> <p>-67 % მომუშავეს რომელსაც ჰყავს ახალშობილი ბავშვი -შემწეობიდან არ ხდება გადასახადების გადახდა.</p>
შენატანები (თვე)	პერიოდი	ასაკი																								
12	6	საინფორმაცია																								
16	8																									
20	10																									
24	12																									
30	15																									
36	18	<50																								
48	24	<55																								
		<58																								
კანადა	<p>-420-700 საათი იყო დაზღვეული წინა წელს,გასათვალისწინებელი რეგიონში არსებული უმუშევრობის დონე</p> <p>-შრომის ბაზრის ახალ მონაწილს უნდა ჰქონდეს ნამუშევარ 910 საათი</p> <p>-პირები, რომელმაც ნებაყოფლობით დატოვეს სამუშაო ადგილი</p>	<p>- სტანდარტული შემწეობა :14-45 კვირიანი გაცემა, რაც დამოკიდებულია ნამუშევარი საათებისა და რეგიონში არსებული უმუშევრობის დონეზე.</p> <p>-შემწეობა გაიცემა ერთხელ ორი კვირის განმავლობაში.</p>	<p>55% საშუალო ყოველკვირეული შემოსავლიდან.</p>																							

ქვეყანა	მოთხოვნები უმუშევრის მიმართ შემწეობის მისაღებად	შემწეობის გაცემის პერიოდი	შემწეობის ოდენობა
იაპონია	<p>-შემწეობის მისაღებად უნდა ნამუშევარი ჰქონდეს 6 თვე თავისი შენატანებით უკანასკნელი 2 წლის განმავლობაში</p> <p>-იძულებითი უმუშევრობა, სხვა შემთხვევაში 3 თვიანი ლოდინი</p>	<p>პერიოდი დაოკიდებულია ასაკზე და შენატანების პერიოდზე:</p> <p>-კომპანიიდან წასვლა დაკავშირებულია შემცირებასთან ან გაბანკროტებასთან: 90-330 დღე</p> <p>- სხვა მიზეზი: 90-150 დღე</p> <p>-საკუთარი ნებით: 90-150 დღე</p> <p>3თვიანი ლოდის შემდეგ.</p>	<p>-ყოველდღიური ზომა დამოკიდებულია საშუალო ხელფასზე უკანასკნელი 6 თვის განმავლობაში:</p> <p>2330-4650 იაპონური იენი: 80% განაკვეთი.</p> <p>4650-11770 იაპონური იენი: 80-50% განაკვეთი.</p> <p>11770-15780 იაპონური იენი: 50% განაკვეთი</p> <p>-თუ პიროვნება 60-64 წლისაა მაშინ 50% იცვლება 45%ზე.</p>
რუსეთი	<p>-უმუშევრობა, რომელიც გამოწვეულია კომპანიის ლიკვიდაციით, ან შტატის შემცირებით</p> <p>-ნებაყოფლობითი უმუშევრობა, შემდეგი მიზეზების გამო:</p> <ul style="list-style-type: none"> • სხვა ქალაქში გადასვლა • დაავადება რომელიც ხელს უშლის მუშაობა ან მაგ ტერიტორიაზე ყოფნას • დამსაქმბლის მიერ შრომითი ხელშეკრულების დარღვევა. 	<p>უმუშევართა შემწეობის გაცემის ყოველი პერიოდი არ უნდა აღემატებოდეს 12 თვეს უკანასკნელი 18 თვის განმავლობაში.</p>	<p>თუ პიროვნება მუშაობს სრული სამუშაო დღე, მაგრამ არაუმეტეს 26 კვირას, ან არასრულის სამუშაო დღე არაუმეტეს 26 კვირას, ერიცხება: 12 თვიან გაცემის პერიოდის ფარგლებში, პირველი 3 თვის განმავლობაში- მისი წინა სამსახურის საშუალო ხელფასის 75%, შემდეგი 4 თვე - 60%, დარჩენილი თვეები- 45%. მაგრამ ყველა შემთხვევაში, არაუმეტეს უმუშევართა შემწეობების მაქსიმალური თანხის, და არანაკლებ მინიმალურ ოდენობისა, რომელიც მრავლდება რაიონულ კოეფიციენტზე.</p>

ქვეყანა	მოთხოვნები უმუშევრის	შემწეობის გაცემის პერიოდი	შემწეობის ოდენობა
---------	----------------------	---------------------------	-------------------

**მიმართ შემწეობის
მისაღებად**

<p>ბრაზილია</p>	<p>-არანაკლებ 6 თვიანი სამუშაო სტაჟი უკანასკნელი 36 თვის განმავლობაში. -ადგილი არ უნდა ჰქონდეს ნებაყოფლობით უმუშევრობას -თუ პირი იღებს სხვა სოციალურ დახმარებებს, მაგას არ გაეცემა შემწეობა.</p>	<p>გაცემის პერიოდი დამოკიდებულია სადაზვევო შენატანებზე. -6-11 შენატანის დროს გაიცემა 3 თვის განმავლობაში -12-23 შენატანის დროს გაიცემა 4 თვის განმავლობაში -24 და მეტი უკანასკნელი 36 თვის განმავლობაში 5 თვის განმავლობაში გაიცემა.</p>	<p>-შემწეობა ვარირებს იმის მიხედვით თუ როგორი იყო უკანასკნელი სამი თვის საშუალო ხელფასი: 80% თუ საშუალო ხელფასი არის 899,67 რეალამდე, 50% თუ საშუალო ხელფასი ვარირებს 899,68-1499,58 რეალამდე, ასეთ დროს გაიცემა დამატებით ერჯერადად 719,12 რეალი -მაქსიმალური თანხა არის 1019,7 რეალი.</p>
<p>ჩილე</p>	<p>-ინდივიდუალური შემნახველი ანგარიშები: 6-12 შენატანი იმის მიხედვით თუ რა კონტრაქტი იყო გაფორმებული. -უმუშევრობა ნებისმიერი მიზეზის გამო -სადაზღვეო ბენეფიტები: ა) 12 შენატანი უკანასკნელი 24 თვის განმავლობაში, სადაც უკანასკნელი 3 უნდა იყოს ერთი დამსაქმებლის მიერ. ბ) იძულებითი უმუშევრობა. გ) ინდ. ანგარიში ამოწურულია</p>	<p>-ინდ შემნახველი ანგარიშები: განაკვეთის ყოველთვიური შემცირება თანხის ამოწურვამდე -მაღალი უმუშევრობის დროს: გაიცემა დამატებით 2 თვის განმავლობაში შემწეობა, თუ უმუშევრობის დონე 1 პუნქტით მეტი საშუალო უმუშევრობაზე უკანასკნელი 1 წლის განმავლობაში</p>	<p>-ინდ შემნახველი ანგარიშები: განაკვეთის ყოველთვიური შემცირება: 50%, 45%, 40%, 35%, 30%, 25%, 20% უკანასკნელი 6-12 თვის საშუალო შემოსავლის -მაღალი უმუშევრობის დროს შემწეობის 25%.</p>
<p>აშშ</p>	<p>-სამუშაოს დაკარგვა განცხადებლის გამო, ან წასვლა საპატიო მიზეზის გამო -უნდა იყოს შრომისუნარიანი და დარეგისტრირებული იყოს დასაქმების სახელმწიფო ბიუროში.</p>	<p>-უმრავლესობა შტატებში გაცემის პერიოდი განისაზღვრება 26 კვირამდე. -გაიცემა 2 კვირაში ერთხელ -ეკონომიკური დაცემის პერიოდში, როდესაც შტატებში მაღალია უმუშევრობის დონე, რეალიზდება ფედერალური პროგრამა, რომლის ფარგლებში დამატებით გაიცემა შემწეობა 13 კვირის ფარგლებში</p>	<p>- შტატები ადგენენ საშუალო ხელფასის 50%, რაც გამოითვლება განსხვავებული ფორმელებით.</p>

ქვეყანა	მოთხოვნები უმუშევრის	შემწეობის გაცემის	შემწეობის ოდენობა
---------	----------------------	-------------------	-------------------

	მიმართ შემწეობის მისაღებად	პერიოდი	
ტაილანდი	<p>-არანაკლებ 6 შენატანისა უკანასკნელი 15 თვის განვლობაში შრომით ხელშეკრულების დარღვევამდე.</p> <p>-დასაქმები ბიუროში რეგისტრაცია</p> <p>-შრომითი ხელშეკრულების დარღვევა არ უნდა იყოს მომუშავეს არაკანონიერი ქმედებების ან არაკეთილსინდისიერი ქმედებების გამო</p>	<p>-შემცირებაში მოხვედრილი უმუშევარი იღებს 180 დღის მანძილზე ერთი წლის განმავლობაში.</p> <p>-თავისი ნებით წასული სამსახურიდან 90 დღე 1 წლის მანძილზე</p> <p>-ეკონომიკური კრიზისის გამო შემწეობების გაცემა გაწეულს 240 დღემდე 2009 წ.</p>	<p>-შემცირებაში მოხვედრილი იღებს დაზღვეული შემოსავლის 50%. ეს არის უკანასკნელი 9 თვის განმავლობაში 3 თვის მაქსიმალური ხელფასის საშუალო</p> <p>-საკუთარი ნებით წასული კი იღებს შემოსავლის 30%</p>
საფრანგეთი	<p>-უნდა იმუშაოს 4 თვე უკანასკნელი 24 თვის განმავლობაში</p> <p>-იმუშებთი უმუშევარი</p> <p>-ასაკი ნაკლები 60ზე</p> <p>-უნდა დარეგისტრირდეს დასაქმები ბიუროში უმუშევარი სტატუსით. ამისთვის აქვს 12 თვე, შემდგომ 2 წლის განმავლობაში შეუძლია განცხადება შეიტანოს შემწეობის მისაღებად.</p>	<p>პერიოდი დამოკიდებულია შენატანებზე უკანასკნელი 2 წლის განმავლობაში:</p> <p>-1 თვიანი გაცემა როდესაც 4 თვიანი შენატანი აქვს</p> <p>-მაქსიმალური პერიოდი 24 თვე (36 თვე თუ ასაკი აღემატება 50ს)</p>	<p>-შემწეობის ოდენობა არის 70% იმ პირებისათვის ვისაც დაბალი აქვთ ხელფასი(1000 ევრომდე თვეში), ხოლო თუ მაღალი აქვთ 57%.</p>
მონღოლეთი	<p>-არანაკლებ 24 თვიანი დასაქმება შენატანებთან ერთად, საიდანაც უკანასკნელი 9 უნდა იყოს უწყვეტი.</p> <p>-უნდა დარეგისტრირდეს დასაქმების ხელშეწყობის ტერიტორიულ ორგანოში</p>	<p>-შემწეობა გაცემის პერიოდი იწელება 76 დღემდე</p>	<p>ოდენობა დგინდება წინა სამუშაო ადგილის უკანასკნელი 3 თვის საშუალოსი და ნამუშევარი დროის მიხედვით:</p> <p>5 წლამდე: 45%</p> <p>5-10 წლამდე: 50%</p> <p>10-15 წლამდე:60%</p> <p>15 და მეტი: 70%</p> <p>- მინიმალური ოდენობა არანაკლებ მინ. ხელფასის 75% .</p>

3.10. უმუშევართა სადაზღვევო სისტემის რეგულირება, ფინანსირება და მდგრადობა

შსო-ს კონვენციის №102 71-ე მუხლში რეკომენდირებულია, რომ შემწეობების გასაცემად გათვალისწინებული ხარჯები და ადმინისტრაციული საკითხების მოგვარება მოხდეს კოლექტიურად, სადაზღვევო შენატანებით ან გადასახადებით, რომ არ მოხდეს იპ პირთა პირობების გაუარესება, რომელთაც აქვთ დაბალი შემოსავალი. კონვენცია სთავაზობს სახელმწიფოს, რომ თავის თავზე აიღონ პასუხისმგებლობა იმ საკითხების ეფექტურად რეგულირებისთვის, რომელიც შეიცავს პერიოდულ ანალიზს. შსო-ს კონვენცია №168 არ არის მსგავსი, მაგრამ მანდაც განიხილება სახელმწიფოს მიერ საკითხების რეგულირება. შედეგად, იმისათვის, რომ ეფექტურად იმუშაოს სისტემამ საჭიროა როგორც დამსაქმებლის, ასევე დასაქმებულის ჩართულობა.

უმუშევართა სადაზღვევო სისტემის ფინანსირება ხორციელდება დამსაქმებლის მიერ, დასაქმებულის მიერ და სახელმწიფო ბიუჯეტიდან. ზოგჯერ მონაწილეობს სამივე მხარე. ცხრილი 3.3-ში მოცემულია ფინანსირების ძირითადი ასპექტები განხილულ ქვეყნებში.

	დასაქმებული	დამსაქმებელი	სახელმწიფო	შენიშვნა
არგენტინა	-	0,89-1,11%	დეფიციტის დროს	შენატანები განსხვავდება დარგების მიხედვით
ბრაზილია	-	1-3% მთლიანი შემოსავლის	-	0.1% პროვინციაში მომუშავესთვის.
ჩილი	0,6%(ინდივიდუალური შემნახველი ანგარიში)	1.6% დაზღვეული ინდივიდუალური ანგარიშისთვის		დროებითი მომუშავესთვის: 2,8% (ინდივიდუალური ანგარიშზე) , 0,2% დამსაქმებლისგან რეგიონალურ და ადგილობრივ მთავრობებს
რუსეთი	-	-	ფედერალური და ადგილობრივი ბიუჯეტიდან.	შეუძლიათ დააფინანსონ დამატებითი სარგებელი უმუშევართა და მათზე დამოკიდებულ პირთათვის საკუთარი ბიუჯეტიდან
კანადა	1.83%	2,56%		
გერმანია	1.5%	1.5%	-	

საფრანგეთი	2.4%	4%	-
აშშ	-	1.4-3.2%	დამოკიდებულია შტატზე
იაპონია	0.6%	0.6+0.35%	გაცემების 25%
ტაილანდი	0.5%	0.5%	0.25%
ვიეტნამი	1%	1%	1%
მონღოლეთი	0.5%	0.5%	-

ცხრილი 3.3

ყველა თორმეტივე ქვეყანაში (გარდა რუსეთისა) პროგრამის ფინანსირებაში მონაწილეობენ დამსაქმებლები. სახელმწიფო რეგულარულად აფინანსებს ხარჯებს ქვეყნებში (ტაილანდი, ვიეტნამი, ჩილე, რუსეთი). მნიშვნელოვან სიტუაციებში, სახელმწიფო თავის თავზე იღებს ხარჯებს შემდეგ ქვეყნებში (არგენტინა, გერმანია, აშშ).

სახელმწიფო, დამსაქმებელი და დასაქმებული ხარჯების განაწილებაში მონაწილეობს ქვეყნებში: *ტაილანდში და ვიეტნამში*. დამსაქმებლები პროგრამის რეალიზაციისთვის პასუხს აგებენ ყველა ხარჯებზე *აშშ-ში* (გარდა სამი შტატისა, სადაც დამზღვეული იხდის თანხას). მიუხედავად ამისა, ეკონომიკური ვარდნის დროს ფედერალური მთავრობა უზრუნველყოფს სუბსიდირებით. დამსაქმებლები და დასაქმებულები ინაწილებენ ხარჯებს *კანადაში, საფრანგეთში, გერმანიაში, მონღოლეთში, იაპონიაში*, და საჭიროების შემთხვევაში მთავრობა აფინანსებს ხარჯებს *გერმანიაში, არგენტინაში. ჩილეში* დასაქმებულები და დამსაქმებლები ახორციელებენ შენატანებს, ხოლო სახელმწიფო აძლევს სუბსიდირებს (დაახლოებით 6% სადაზღვევო შენატანების).


3.11. უმუშევრობა საქართველოში

უმუშევრობა ქვეყნის მოსახლეობას მძიმე ტვირთად აწვება და ეკონომიკურ, ფსიქოლოგიურ და სოციალურ დანაკარგს იწვევს¹¹.

ეკონომიკური კუთხით უმუშევრობის სახით ეგრეთ-წოდებულ გამოუყენებელი საწარმოო შესაძლებლობების ხარჯს ვლდებულობთ, რომელიც გამოუყენებელი სამუშაო ძალის გამო იკარგება, ანუ, იმ პროდუქციას, რომლის წარმოებაც შესაძლებელი იქნებოდა უმუშევრების დასაქმების შემთხვევაში. ოუკენის კანონის თანახმად, უმუშევრობის დონის ყოველი 1%-იანი ზრდა მშპ-ის დაახლოებით 2%-იან კლებას იწვევს. გარდა ამისა, ხელისუფლება შემოსავალს კარგავს გადასახადის გადამხდელთა რიცხვის შემცირების შედეგად. უმუშევრობის ტვირთი მხოლოდ უმუშევრებს აწვება. მათი შემოსავალი იკლებს, ხოლო უნარ-ჩვევები, გამოუყენებლობის გამო, რეგრესირებს. ამავე დროს, უმუშევრობა სამუშაოსადმი მოტივაციას ამცირებს (www.economist.com). ამას უმუშევრობის ფსიქოლოგიურ ხარჯებთან მივყავართ, რომელსაც უმუშევარი ხალხი და მათი ოჯახები იმ სტრესის სახით განიცდიან, რასაც ეკონომიური გაჭირვება და შემოსავლის დაკარგვა იწვევს. ზოგადად უმუშევრობის სოციალური ხარჯი ერთად აღებული ეკონომიკური და ფსიქოლოგიური ხარჯებისგან გამომდინარეობს. ისეთ ქვეყნებში, სადაც უმუშევრობის მაღალი დონეა, დანაშაულის, ძალადობის, ნარკომანიის და სხვა სოციალური პრობლემების ზრდა აღინიშნება. ეს ხარჯები, ზოგადად, საზოგადოებას აწვება, ვინაიდან ამ პრობლემებთან გასამკლავებლად სახელმწიფო მეტ თანხებს ხარჯავს, მაგალითად, კრიმინალ თან საბრძოლველად მეტი პოლიციელის დაქირავებისთვის.

1998 წლის შემდეგ, უმუშევრობის დონე საქართველოში გაიზარდა - 12.4%-დან 12.7%-მდე 2018წლის მდგომარეობით (გრაფიკი 3.1).

¹¹ McDowell, Thom, Frank & Bernanke, 2006



გრაფიკი 3.3
წყარო Geostat

რადგან საქართველოში უმუშევრობის დახმარება არ არის, უმუშევრობის სტატისტიკას მხოლოდ ეკონომიკური სიტუაციის ანალიზის დანიშნულება აქვს. საქსტატის მონაცემებით, 2018 წელს 2017 წელთან შედარებით უმუშევრობის დონე 1.3% პუნქტით შემცირდა და 12.7% შეადგინა. ეს ნიშნავს, რომ 15 წლისა და უფროსი ასაკის ეკონომიკურად აქტიურ მოსახლეობაში (მოსახლეობის ის ნაწილი, რომელსაც შეუძლია მუშაობა და აქტიურად ეძებს სამუშაო ადგილს) ყოველი 1000 კაციდან 127 უმუშევარია. უმუშევართა ჯამობრივი რაოდენობა კი 245.7 ათასი კაცია.

ერთია, რომ ოფიციალური მეთოდოლოგიით 1,94 მილიონი ადამიანი ითვლება დასაქმებულად და 245.7 ათასი უმუშევრად, მაგრამ თუ განვიხილავთ შიდა შრომის ბაზარზე სამუშაოს მაძიებელთა რიცხვს, სამსახურს ეძებს არა მხოლოდ 245.7 ათასი კაცი, არამედ თვითდასაქმებულების უმეტესობაც, რომლებიც სასურველი სამსახურის პოვნამდე სხვადასხვა გზით ცდილობენ შემოსავლის მიღებას. შესაბამისად, როდესაც საქართველოში ჩნდება ახალი სამუშაო ადგილები, არ ნიშნავს, რომ ამ ადგილებს აუცილებლად ოფიციალური გაგებით უმუშევრები დაიკავებენ. თეორიულად შესაძლოა, ახალი ადგილები თვითდასაქმებულებმა სრულად შეავსონ და უმუშევართა რაოდენობა არ შემცირდეს. გარდა ამისა, საქართველო ბოლო ათწლეულში გადის ტექნოლოგიური ცვლილების პერიოდს, რასაც შედეგად ახლავს ხელით შრომის კომპიუტერებითა და ციფრული ტექნიკით ჩანაცვლება. მაგალითად, ფულის ჩასარიცხმა აპარატებმა გააქრო ათასობით მოლარისა და ოპერატორის სამუშაო ადგილი. ინტერნეტიზაცია,

კომპიუტერიზაცია და კომპიუტერული პროგრამების მრავალფეროვნების ზრდა შესაძლებელს ხდის, ერთმა ადამიანმა გააკეთოს იმდენი საქმე, რასაც კომპიუტერის გარეშე რამდენიმეჯერ მეტი ადამიანის შრომა დასჭირდებოდა.

მთავრობას უმუშევრობის პრობლემის თანდათანობით გადასაჭრელად ერთადერთი გზა რჩება: ხელი შეუწყოს ქვეყნის მაღალი ეკონომიკური ზრდის ტემპის მიღწევას და პარალელურად განათლების ხარისხის გაუმჯობესებაზე იზრუნოს. ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობა კი მრავალ კომპონენტს გულისხმობს, როგორცაა: პოლიტიკური სტაბილურობა, უსაფრთხოება, კერძო საკუთრების უკეთესად დაცვა, მაკროეკონომიკური სტაბილურობა, საერთაშორისო სავაჭრო-საინვესტიციო ურთიერთობების გაფართოება და ა.შ.

რიგი საკითხების მოსაგვარებლად მთავრობას შეუძლია უმუშევართა შემწეობების პროგრამის დანიშვნა. საქართველოში იყო შემუშავებული კანონპროექტი **“საქართველოში უმუშევრობის შემწეობის დანიშვნის შესახებ”** 16/02/2010 წელს. კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილეობა მიიღეს პროფკავშირების საერთაშორისო კონფედერაციამ და ევროპის პროფკავშირების კონფედერაციამ. ხოლო კანონპროექტის განხილვაში მონაწილეობა მიიღეს ეკონომიკის ექსპერტებმა: ვლადიმერ პაპავა, ემზარ ჯგერენია, დემურ გიორხელიძე, თამაზ აქუბარდია, კახა კობხრიძე, არჩილ ბაკურაძე, თემურ თორდინავა.

მაგ პერიოდისათვის კანონპროექტის მიღების ძირითადი მიზეზი და მიზანი იყო: მზარდი მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის ფონზე ქვეყანაში მოსალოდნელი უმუშევრობის ზრდის პირობებში, მოსახლეობის სოციალური დაცვისათვის საჭირო რესურსების მოძიების შესახებ.

ქვეყანაში უმუშევართა რიცხოვნობა 2008 წლის მესამე კვარტლის ოპერატიული მონაცემებით 280 ათას აღწევდა. აგვისტოს მოვლენების შედეგად განხორციელებული საომარი მოქმედებისა და ეკონომიკური კრიზისის ფონზე, საქმიანობის მთელ რიგ

დარგებში (მშენებლობა, ბანკები, მომსახურება, ვაჭრობა და სხვა) შეიქმნა მძიმე პირობები და ადგილი აქვს მუშაკთა მასობრივი დათხოვნის ფაქტებს. არსებული რეალობის გათვალისწინებით მოლოდინი იყო, რომ უახლოეს მომავალში უმუშევართა დეკლარირებული რაოდენობა 350 ათას მიაღწევს. ამის საფუძველს იძლეოდა 2008 წლის სექტემბერში აგვისტოს კონფლიქტის შედეგებზე საერთაშორისო ინსტიტუტების: მსოფლიო ბანკის, გაეროსა და ევროკომისიის მიერ “საჭიროებათა შეფასების” განხორციელებისას საქართველოს მთავრობის განცხადებამ, ქვეყანაში დასაქმებულთა საერთო რაოდენობის 100 ათასი კაცით შემცირების საშიშროების შესახებ. *მითუმეტეს, რომ იმ ეტაპზე გლობალური ეკონომიკური კრიზისის სიმწვავე არ იგრძნობოდა და საქართველოსათვის გამოყოფილი 4,5 მილიარდი აშშ დოლარის დახმარება გათვალისწინებული იყო მხოლოდ აგვისტოს მოვლენების შედეგად დაზარალებული ეკონომიკის აღდგენისათვის.* იმის გათვალისწინებით, რომ ქვეყანაში იყო მძიმე სოციალური მდგომარეობა და არ მოქმედებდა უმუშევრობის დაცვის არავითარი მექანიზმი, მიზანშეწონილად მიიჩნეოდა დაწესებულიყო უმუშევრობისათვის შემწეობა და მის საფუძველზე გაიცეს რეგისტრირებულ უმუშევარზე თანხა, არა ნაკლებ მაგ პერიოდისთვის მოქმედი მინიმალური პენსიის ოდენობით.

კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებული აუცილებელი ხარჯები გათვალისწინებული უნდა ყოფილიყო საქართველოს 2009 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანით.

კანონპროექტის მიღება გაზრდიდა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილს, რადგან გაცემული შემწეობის თანხა ძირითადად მიმართული იქნებოდა ქვეყნის შიდა ბაზარზე აუცილებელი პირველადი მოხმარების საგნების შესაძენად და მომსახურების მისაღებად, რაც თავის მხრივ გაზრდიდა ამ სფეროებიდან დამატებითი გადასახადების მიღების შესაძლებლობას. ხელს შეუწყობდა სამუშაო ადგილების შენარჩუნებასა და შექმნას. აღნიშნული თანხის დაფარვის წყაროდ შესაძლებელია გამოყენებული ყოფილიყო მოქმედი საშემოსავლო გადასახადის გარკვეული ნაწილი, კერძოდ 20 პროცენტის

დაბეგვრის სისტემიდან 3 პროცენტი წარმართულიყო ამ მიმართულებით. საქართველოს 2009 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის შესაბამისად, საშემოსავლო გადასახადის გეგმიური მაჩვენებელი განსაზღვრული იყო სახელმწიფო ბიუჯეტისათვის 1 123 მლნ. ლარის და ნაერთი ბიუჯეტისათვის 1 200 მლნ-ის ოდენობით. აღნიშნული თანხიდან 3 პროცენტისანი მოცულობა იქნება შესაბამისად 168,5 მლნ. და 180 მლნ. ლარი, რაც სავსებით საკმარისას მიიჩნეოდან უმუშევართა საერთო რაოდენობის 6 თვის შემწეობის მინიმალური პენსიის დონეზე უზრუნველსაყოფად. მაგრამ სამწუხაროდ არ იყო მიღებული კანონპროექტი, შესაბამისად ჩვენ ქვეყანაში არ არის უმუშევართა დაცვის არანარი მექანიზმი.

თავი IV . ეკონომეტრიკული ანალიზი

4.1.1. უმუშევრობის მოდელი

იმისათვის, რომ შევაფასოთ თუ როგორ ზემოქმედებს უმუშევართა შემწეობები უმუშევრობაზე, ჩავატაროთ ეკონომეტრიკული ანალიზი. სასურველი იქნებოდა ანალიზის ჩატარება საქართველოს მაგალითზე, მაგრამ ვინაიდან ჩვენს ქვეყანაში არ მოქმედებს უმუშევართა შემწეობების პროგრამა, შედეგად განხივილავთ სხვა ქვეყანას, მაგალითად რუსეთი. სანამ ავაგებთ მარტივ, წრფივ მოდელს, განვიხილოთ თითოეული ცვლადი, რომელიც გათვალისწინებული იქნება ჩვენს მოდელში:

- **უმუშევრობის დონე** - ჩვენი მოდელის შედეგობრივი, რომელიც გვიჩვენებს უმუშევართა წილს ეკონომიკურად აქტიურ მოსახლეობაში.
- **რეალური მშპ** - უმუშევრობასა და მშპ შორის არსებობს უკუპროპორციული დამოკიდებულება, ანუ მშპ-ს ზრდა იწვევს უმუშევრობის შემცირებას. ლოგიკა შემდეგია, მშპ წარმოადგენს ქვეყანაში წარმოებულ იმ საბოლოო საქონლისა და მომსახურების ღირებულებას, შედეგად როდესაც იზრდება ეროვნული წარმოება, ეს ხელს უწყობს საწარმოებს გაფართოებას, რომლის შედეგად იქმნება ახალი სამუშაო ადგილები, რასაც მოჰყვება უმუშევრობის შემცირება.

- **ინფლაციის დონე** - როდესაც ადგილი აქვს ინფლაციას, ამას მოჰყვება ქვეყანაში ფასების დონის ზრდა, შედეგად ეს იწვევს ნომინალური ხელფასის ზრდას, რის გამოც იზრდება ხარჯები, და შედეგად მიმდინარეობს კადრების შემცირება, ანუ უმუშევრობის დონის ზრდა
- **უმუშევართა შემწეობების მინიმალური ოდენობა** - უმუშევართა შემწეობის ზემოქმედებას უმუშევრობის დონეზე ცალსახად ვერ განვსაზღვრავთ, ვინაიდან არსებობს საპირისპირო თეორიული მოსაზრებები.

ავიგოთ მონაცემები 1991-2018 წლის, რომელიც მოცემულია ცხრილი 4.1-ში.


წელი	უმუშევრობის დონე(%)	რეალური მშპ	ინფლაცია (წლიური %)	უმუშევართა შემწეობის მინ. თანხა
1991	5.07	1.2	128.63	180
1992	5.18	13.9	1490.42	180
1993	5.88	153.82	887.84	180
1994	8.13	519.35	307.3	180
1995	9.45	1135.55	144.01	180
1996	9.66	1377.11	46.04	180
1997	11.81	2035.2	15.06	180
1998	13.26	2217.22	18.54	180
1999	13.04	2796.08	72.39	180
2000	10.58	5309.34	37.70	100
2001	8.98	7676.89	16.48	100
2002	7.88	9368.94	15.66	100
2003	8.21	11606.53	13.66	100
2004	7.76	14153.94	20.26	100
2005	7.12	18113.8	19.28	720
2006	7.05	23365.63	15.12	720
2007	6.00	29215.74	13.84	720
2008	6.20	34980.38	18.01	850
2009	8.30	38046.29	1.97	850
2010	7.37	40550.39	14.19	850
2011	6.54	52012.55	24.81	850
2012	5.44	62478.35	9.04	850
2013	5.46	69387.00	5.39	850
2014	5.16	73542.78	7.35	850
2015	5.57	77225.19	7.59	850
2016	5.56	83347.10	3.17	850
2017	5.21	87382.68	5.36	850
2018	4.74	94175.7	10.3	850

ცხრილი 4.1 მონაცემები 1991-2018 წწ.
წყარო : WORLD BANK


სანად დავიყწებთ მოდელის აგებას, პირველ რიგში შევამოწმოთ, ჩვენს მიერ აღებული 4 მწკრივი სტაციონალურია თუ არა. ამისათვის გამოვიყენოთ გრაფიკები ღომელიც საშუალებას მოგვცემს ვიზუალურად შევხედოთ ჩვენ მწკრივებს, და უფრო ზუსტი შეფასებისთვის გამოვიყენოთ დიკი ფულერის გაფართოებული ტესტი.




გრაფიკი 4.1



გრაფიკი 4.2



გრაფიკი 4.3



გრაფიკი 4.4

გრაფიკებზე დემონსტრირებულია თითოეული ზემოაღნიშნული დროითი მწკრივის დინამიკური მახასიათებლები. რადგან ცნობილია სტაციონალური და არასტაციონალური მწკრივების მახასიათებლები, კერძოდ კი ის, რომ, როგორც წესი, სტაციონალური მწკრივები საშუალოს ირგვლის ირხევა სასრული დისპერსიით, ხოლო არასტაციონალური მწკრივი კი ხანგრძლივად დაეხეტება, შესაძლებელია ვივარაუდოთ, რომ მოცემულ გრაფიკებზე უმუშევრობათა დონე, რეალური მშპ და უმუშევართა შემწეობები არასტაციონალურ დროით მწკრივებს უნდა განეკუთვნებოდეს, ხოლო ინფლაცია სტაციონალურს. მაგრამ ვიზუალური შეფასება არაა საკმარისი, შედეგად მივმართოთ დიკი ფულერის გაფართოებულ ტესტს.

ტესტის ჩატარება თითოეული მწკრივის შემთხვევაში დაკავშირებულია რამდენიმე ეტაპის გავლასთან. მაგალითად თუ გვაქვს მშპ მწკრივის პროცესი y_t $ar(p)$ დიკი ფულერის ტესტი აიგება რეგრესიისთვის, რომელშიც dy_t დამოკიდებულია y_{t-1} ზე და ნაზრდებზე $dy_{t-1} \dots dy_{t-p} + 1$. ამ დროს ვამოწმებთ y_{t-1} ის ცვლადის მნიშვნელობას, თუ ის 0-ვანია მწკრივი არასტაციონალური იქნება. პირველ რიგში ვამოწმებთ მწკრივს ტესტზე, რომლის რეგრესიის განტოლებაში ჩართულია მუდმივი და ტრენდული ცვლადი, თუ ამ განტოლების შეფასების შემდეგ მივიღეთ, რომ ერთეულოვანი ფესვი სახეზე გვაქვს,

ვამოწმებთ ტრენდის ჩართვა განტოლებაში რამდენად მართებული იყო და გადავწერთ განტოლებას, რომელშიც მხოლოდ მწკრივის ნაზრდები ტრენდი და მუდმივი ცვლადი შედის და ვუყურებთ ტრენდული ცვლადის კოეფიციენტის მნიშვნელოვნებას, თუ ის მნიშვნელოვანია ვასკნით, რომ მწკრივი ერთეულოვან ფესვს შეიცავს და პროცედურა დამთავრებულია, ხოლო თუ ის არ არის მნიშვნელოვანი ხელახლა გადავწერთ ერთეულოვან ფესვზე შესაფასებელ განტოლებას და შევამოწმებთ ერთეულოვანი ფესვის არსებობას. თუ შედეგად მივიღებთ, რომ ერთეულოვანი ფესვი არსებობს გვრჩება ერთი ეტაპი, კერძოდ ის თუ სწორად ჩავრთეთ განტოლებაში მუდმივი, რა დროსაც ვიმეორებთ იგივეს, რაც ტრენდული ცვლადის მიმართ გავაკეთეთ¹².

4 მწკრივის განხილვის შედეგად დადგინდა, რომ უმუშევართა შემწეობის, რეალური მშპ და უმუშევრობის დონის მწკრივები შეიცავენ ერთეულოვან ფესვს, და შესაბამისად პირველი რიგის ინტეგრირებულ მწკრივს მიეკუთვნება. რაც შეეხება ინფლაციას, დიკი ფულერის გაფართოებული ტესტის ჩატარების შედეგად დადგინდა, რომ ეს მწკრივები სტაციონალურია.

გვაქვს $n=29$ დაკვირვების წერტილი.

X_1 - რეალური მშპ

X_2 - ინფლაცია (წლიური %)

X_3 - უმუშევართა შემწეობების მინიმალური თანხა

პირველ რიგში შევამოწმოთ ამ ცვლადების ზემოქმედება უმუშევრობის დონეზე, და თუ რა გავლენას ახდენს უმუშევართა შემწეობები უმუშევრობის დონეზე. შედეგად ვახდენთ უმუშევრობის რეგრესირებას შერჩეულ ეგზოგენურ ცვლადებთან OLS მეთოდით, რომლის შედეგად ვღებულობთ შემდეგ მოდელს(იხილეთ დანართი 1):

$$Y(-1) = 10.92 - 0.0003realGDP(-1) - 0.004Inflation - 0,0038UB(-1)$$

¹² ანანიაშვილი ი. სალექციო მასალა დროითი მწკრივების ანალიზში, ელექტრონული ფორმატი, 2018

S.e. (0.58) (0.000) (0.0009) (0.0013)

მივიღეთ, რომ რეალური მშპ-ს ერთი ერთეულით ზრდა იწვევს უმუშევრობათა დონის 0.0003 პროცენტულ შემცირებას, ხოლო ინფლაციის ზრდა იწვევს უმუშევრობათა დონის 0,0004% შემცირებას, რაც შეესაბამება იმ თეორიულ ვერსიას. ხოლო შემწეობების მოცულობის გაზრდა ამცირებს უმუშევრობას უმუშევრობას 0,0038%, აქედან გამომდინარე რაც უფრო დიდი იქნება უმუშევართა შემწეობა მით უკეთესი შედეგები მოჰყვება მას, ქვეყნის დასაქმების კუთხით. მაგრამ მხოლოდ ამ ინტერპრეტაციით არ უნდა დავასრულოთ ანაზილი, რადგან შესაფასებელია თვითონ მოდელი და მასში შემავალი ცვლადების კოეფიციენტები, ასევე გააჩნია თუ არა მოდელს რაიმე სახის პრობლემები.

შევაფასოთ მოდელი t და F ტესტებით, და ვაჩვენოთ ჩვენს მიერ მიღებული სტატისტიკური შედეგები :

R ²	0.65
Adj R ²	0.60
F	14.53
P>F	0.0000

	T	P> t
<i>Cons.</i>	18.75	0.000
<i>realGDP</i>	-1.76	0.091
<i>Inflation</i>	-3.83	0.001
<i>UB</i>	-2.99	0.006

როგორც ვხედავთ მოდელის და ასევე ცვლადების კოეფიციენტები არიან სტატისტიკურად მნიშვნელოვანი.

4.1.2. მულტიკოლინიარობა

